პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი
16 აპრილი
1947 წ.
№ 78 (7862)
ფასი 20 კაპ.

აღვზარდოთ მასები ლენინ-სტალინის დიად იდეებზე

ბოლშევიკური პარტია და მთელი საბჭოთა ხალხი მთელი ენერგიით იბრძვიან ახალი სტალინური ხუთწლედის განხორციელებისათვის და დარწმუნებული არიან თავიანთ გამარჯვებაში, რადგან მათ ხელთ უპყრიათ ყველა ბრძოლებში ნაცადი იარაღი — მარქსის, ენგელსის, ლენინისა და სტალინის დიადი მოძღვრება საზოგადოების განვითარების კანონების, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის გამარჯვების გზების შესახებ. მარქსიზმ-ლენინიზმი ჩვენს პარტიასა და ხალხს აძლევს მკაფიო ორიენტაციას, მოვლენათა შინაგანი კავშირის გაგების უნარს, კომუნიზმის გამარჯვების რწმენას.

მეოთხე სტალინური ხუთწლედით დასახული დიდი ამოცანების გადაჭრა ჩვენი ხალხის მთელი მატერიალური და სულიერი ძალების დაძაბვას მოითხოვს. ამ ამოცანების წარმატებით გადაჭრის უმნიშვნელოვანესი პირობაა კადრების იდეოლოგიური გამოწრთობა. ამხანაგი სტალინი გვასწავლის:

„თუ ჩვენ შევძლებდით მუშაობის ყველა დარგის ჩვენი კადრების იდეოლოგიურად მომზადებას და მათს იმდენად გამობრძმედას პოლიტიკურად, რომ მათ თავისუფლად შეეძლოთ ორიენტირება საშინაო და საერთაშორისო ვითარებაში, თუ ჩვენ შევძლებდით მათს გადაქცევას სავსებით მომწიფებულ მარქსისტ-ლენინელებად, რომელთაც შეეძლებათ ისე გადასწყვიტონ ქვეყნის ხელმძღვანელობის საკითხები, რომ სერიოზული შეცდომები არ დაუშვან,—ჩვენ ყველა საფუძველი გვექნებოდა უკვე გადაწყვეტილად ჩაგვეთვალა ყველა ჩვენი საკითხის ცხრა მეათედი".

გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ჩვენი სამეურნეო წარმატებები, მათი სიმტკიცე და ხანგრძლივობა დამოკიდებულია პარტიულ-პოლიტიკური და პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობის დონეზე, რომ რაც უფრო მაღალია პარტიულ და უპარტიო ბოლშევიკთა მარქსისტულ-ლენინური შეგნებულობა, მით უფრო ნაყოფიერი და ეფექტურია მათი მუშაობა.

აქედან დასკვნა: თავისი მოვალეობა რომ შეგნებულად და წარმატებით შეასრულოს, ყოველ პარტიულ, სამეურნეო, პროფკავშირულ და კომკავშირულ მუშაკს, ყოველ საბჭოთა მოქალაქეს უნდა ესმოდეს საბჭოთა სახელმწიფოს პოლიტიკა, დაუფლებული ჰყოს მარქსისტულ-ლენინურ მეცნიერებას, სისტემატურად იმაღლებდეს თავისი თეორიული მომზადების დონეს.

მასებში იდეოლოგიური მუშაობის სათანადო სიმაღლეზე დაყენება ყოველთვის იყო და არის პარტიული ორგანიზაციების ერთ-ერთი პირველხარისხოვანი ამოცანა. ამჟამად, როცა ჩვენ ვახორციელებთ სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასვლის სტალინურ პროგრამას, მასების კომუნისტური შეგნებულობის მნიშვნელობა კიდევ უფრო გაიზარდა. ვ. ი. ლენინის თხზულებათა კრებულის IV გამოცემის განახლება, ი. ბ. სტალინის თხზულებათა სრული კრებულის გამოცემის დაწყება ჩვენს პარტიას მძლავრ იდეოლოგიურ იარაღს აძლევს. პარტიის იდეურ ცხოვრებაში დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა ი. ბ. სტალინის ბიოგრაფიის მეორე გამოცემა. მზადდება და მოკლე ხანში გამოვა ვ. ი. ლენინის ბიოგრაფიაც. საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ბიოგრაფიების გამოცემასთან დაკავშირებით პარტიული ორგანიზაციების პროპაგანდისტული მუშაობის შესახებ. საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი თავის გადაწყვეტილებაში აღნიშნავს ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ბიოგრაფიათა შესწავლის დიდ მნიშვნელობას მასების მარქსისტულ-ლენინური აღზრდისათვის და ყველა პარტიულ ორგანიზაციას მოუწოდებს გააჩაღონ მუშაობა ამ მიმართულებით. პარტიულ ორგანიზაციებს ევალებათ განუმარტონ მშრომელთა ფართო მასებს ლენინისა და სტალინის ბიოგრაფიების შესწავლის მნიშვნელობა, მოაწყონ ბიოგრაფიების შესწავლა როგორც წიგნზე დამოუკიდებელი მუშაობის, ისე წრეების მოწყობის გზით. საჭიროა მოეწყოს ლექციები, მოხსენებები, საუბრები ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ცალკეული პერიოდების შესახებ. საქალაქო კომიტეტების, რაიკომებისა და საწარმოთა პარტკაბინეტებმა უნდა მოაწყონ კონსულტაციები, პროპაგანდისტთა სემინარები ლენინისა და სტალინის ბიოგრაფიების შესწავლის საკითხებზე.

ჩვენი რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციები უკვე შეუდგნენ ამ დიდმნიშვნელოვან მუშაობას. როგორც ქალაქად, ისე სოფლად ეწყობა ლექციები, მოხსენებები, საუბრები ლენინისა და სტალინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. მაგალითად, საქართველოს კ. პ. (ბ) სოხუმის საქალაქო კომიტეტის მომხსენებელთა ჯგუფმა მშრომელთათვის ლენინისა და სტალინის ბიოგრაფიების გასაცნობად უკვე ჩაატარა 95 ლექცია და მოხსენება. სოხუმის საქალაქო კომიტეტის პარტკაბინეტმა მოაწყო 18 ჯგუფური და 223 ინდივიდუალური კონსულტაცია. პარტკაბინეტში და ბიბლიოთეკებში მოწყობილია ლენინისა და სტალინის ბიოგრაფიებისადმი მიძღვნილი პოლიტიკური და მხატვრული ლიტერატურის გამოფენა. გუდაუთის რაიონის კოლმეურნეობებში ლენინისა და სტალინის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე მარტო მარტში 8 მოხსენება და 18 ჯგუფური კონსულტაცია ჩატარდა. პარტიის თბილისის ლენინის რაიკომთან მოწყობილია აგიტკოლექტივების ხელმძღვანელთა სემინარი. სემინარის მონაწილენი გულმოდგინედ სწავლობენ ლენინისა და სტალინის ბიოგრაფიებს. ყვარლის რაიონში ლენინისა და სტალინის მოღვაწეობის ცალკე პერიოდების შესახებ მოხსენებები მოამზადეს პარტიული კაბინეტის გამგემ ა. ტურაშვილმა და რაიკომის ინსტრუქტორ-პროპაგანდისტმა ე. მიქელაშვილმა. ამ მოხსენებებს ისინი წაიკითხავენ კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და საწარმო-დაწესებულებებში. ლენინისა და სტალინის ბიოგრაფიების შესასწავლად მუშაობა სხვა რაიონებსა და ქალაქებშიც დაწყებულია. ამოცანა ის არის, რომ ერთი წუთითაც არ შევანელოთ დაწყებული მუშაობა, ჩავაბათ მასში ქალაქის, რაიონის, სოფლის პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული, პროფკავშირული აქტივი, ინტელიგენცია.

მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მასების კომუნისტური აღზრდისათვის. ჩვენი პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლების, დიდი ბელადებისა და მასწავლებლების — ლენინისა და სტალინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესწავლა დაეხმარება მასებს ბოლშევიკური პარტიის ისტორიისა და თეორიის ღრმად შესწავლაში, აღაფრთოვანებს მათ ახალი შრომითი გმირობისათვის საბჭოთა სახელმწიფოს განსამტკიცებლად, ხალხის მატერიალური და კულტურული დონის შემდგომი ამაღლებისათვის. ლენინ-სტალინის დიადი იდეების ფართო პროპაგანდა კიდევ უფრო განამტკიცებს ჩვენი ხალხის მორალურ-პოლიტიკურ ერთიანობას, გააძლიერებს მასებში საბჭოთა პატრიოტიზმის გრძნობას, დარაზმავს მათს მატერიალურ და სულიერ ძალებს ომისშემდგომ სიძნელეთა გადასალახავად, ახალ გამარჯვებათა მოსაპოვებლად.

აღვზარდოთ მასები ლენინისა და სტალინის დიად იდეებზე. ამას მოითხოვენ ხალხისა და სახელმწიფოს ინტერესები, ჩვენი განუხრელი წინსვლის ინტერესები!

ი. ბ. სტალინმა მიიღო ბ-ნი მარშალი

15 აპრილს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ი. ბ. სტალინმა მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ბ-ნი ჯ. მარშალი.

მიღებას დაესწრნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ვ. მ. მოლოტოვი, საბჭოთა კავშირის ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში ნ. ვ. ნოვიკოვი, ამერიკის ელჩი სსრ კავშირში გ. ბ. სმიტი და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის სპეციალური თანაშემწე გ. ჩ. ბოლენი. (საკდესი).

მოსკოვს ჩამოვიდა ბულგარეთის სავაჭრო დელეგაცია

ამა წლის 14 აპრილს მოსკოვს ჩამოვიდა ბულგარეთის სავაჭრო დელეგაცია ვაჭრობისა და სურსათის მინისტრის ბ-ნ იორდან ბოჟილოვის მეთაურობით.

აეროდრომზე დელეგაციას შეხვდნენ: სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოადგილე ი. თ. სემიჩასტნოვი, სსრ კავშირის სავაჭრო წარმომადგენელი ბულგარეთში ვ. ი. ზაიცევი, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტროს სავაჭრო ხელშეკრულებათა განყოფილების უფროსის მოვალეობის ამსრულებელი ნ. ი. ჩეკლინი, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტროს საოქმო ნაწილის უფროსი ვ. გ. კირილოვი და სხვები.

დელეგაციას აგრეთვე შეხვდნენ: ბულგარეთის დესპანი სსრ კავშირში ბ-ნი ნ. ნიკოლოვი და მოსკოვში ბულგარეთის მისიის წევრები. (საკდესი).

სწავლობენ ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ბიოგრაფიებს

მარგანეცის ქალაქის მშრომელები შეუდგნენ დიდი ბელადების ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ბიოგრაფიების შესწავლას. საქალაქო პარტკაბინეტში მოეწყო გამოფენა, სადაც წარმოდგენილია მდიდარი მასალები რევოლუციის დიდი ბელადების ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე. ასეთივე გამოფენები ეწყობა მაღაროებში, ბიბლიოთეკებსა და მსხვილ საწარმო-დაწესებულებებში.

მაღაროებში ტარდება საუბრები ლენინისა და სტალინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ცალკე პერიოდებზე, ეწყობა ლექციები თემებზე: „ლენინის ცხოვრება და მოღვაწეობა", ლენინის შრომის „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმის" მნიშვნელობა, ლენინის შრომა „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში", სტალინის შრომის „ანარქიზმი თუ სოციალიზმის" მნიშვნელობა და სხვა. სერიოზულ მუშაობას ეწევიან მაღაროების ლექტორთა ჯგუფები.

ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ბიოგრაფიების შესწავლასთან დაკავშირებით ეწყობა ექსკურსიები სტალინის სახლ-მუზეუმში. მშრომელები დაწვრილებით ეცნობიან ამხანაგ სტალინის მოღვაწეობას ქიათურაში პირველი რევოლუციის პერიოდში.

ვ. ჟიოკაძე

„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

• • •

გუდაუთის რაიონის პარტიული და საბჭოთა აქტივი დიდი ინტერესით სწავლობს ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს შემქმნელების ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ბიოგრაფიებს.

ბელადების ბიოგრაფიების შემსწავლელთა დასახმარებლად მარტში რაიონის კოლმეურნეობებში ჩატარდა 8 მოხსენება და 18 ჯგუფური კონსულტაცია, აპრილში—2 მოხსენება და 8 კონსულტაცია. გათვალისწინებულია ამ თვის ბოლომდე კიდევ ჩატარდეს 12 მოხსენება და ლექცია.

რაიკომის პარტკაბინეტში, ქალაქის ბიბლიოთეკასა და კულტურის სახლში მოეწყო ლენინისა და სტალინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ლიტერატურის გამოფენა.

• • •

ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ბიოგრაფიების შემსწავლელთა დასახმარებლად სოხუმის ქალაქის პარტკაბინეტსა და საწარმო-დაწესებულებებში იმართება მოხსენებები, ლექციები და ჯგუფური კონსულტაციები.

დიდი ყურადღება ექცევა ლენინისა და სტალინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ცალკეული ეპიზოდების გაცნობას მშრომელთათვის. ამ მიზნით მოეწყო 356 საუბარი. დღითი დღე მატულობს დიდი ბელადების ბიოგრაფიების დამოუკიდებლად შემსწავლელთა რიცხვი.

საქართველოს კ. პ. (ბ) სოხუმის საქალაქო კომიტეტის მომხსენებელთა ჯგუფმა ქალაქის მშრომელთათვის ლენინისა და სტალინის ბიოგრაფიების გასაცნობად უკვე ჩაატარა 95 ლექცია და მოხსენება. პარტკაბინეტმა მოაწყო 18 ჯგუფური და 223 ინდივიდუალური კონსულტაცია.

ვ. ი. ლენინისა და და ი. ბ. სტალინის ბიოგრაფიებისადმი მიძღვნილი პოლიტიკური და მხატვრული ლიტერატურის გამოფენა მოწყობილია პარტკაბინეტში, მეზღვაურთა კლუბში, რესპუბლიკურ ბიბლიოთეკასა და მასწავლებელთა სახლში.

ს. შონია

„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი.

ვ. ი. ლენინის დაბადების 77 წლისთავის გამო

კიევი, 14 აპრილი. (საკდესი). კიევის ფაბრიკა-ქარხნების, დაწესებულებების, სამხედრო ნაწილებისა და სასწავლებლების კოლექტივები ემზადებიან ვ. ი. ლენინის დაბადების 77 წლისთავის აღსანიშნავად. გაიმართება კრებები, რომლებზეც წაიკითხავენ მოხსენებებსა და ლექციებს ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ, ამხანაგ სტალინთან მისი მრავალი წლის თანამეგობრობისა და ერთობლივი მუშაობის შესახებ.

ვ. ი. ლენინის მუზეუმის უკრაინის ფილიალის სამეცნიერო კოლექტივმა თავისი საუკეთესო ლექტორები გამოჰყო ამ მოხსენებათა წასაკითხავად. 22 აპრილს მუზეუმის დიდ დარბაზში მოწვეულ იქნება მის მუდმივ მნახველთა კრება. კრების მონაწილეთ წაუკითხავენ ლექციებს, რის შემდეგაც ნაჩვენები იქნება მხატვრული და დოკუმენტალური ფილმები ვ. ი. ლენინის შესახებ. მუზეუმის მნახველებს შეუძლიათ გაიგონონ ვლადიმერ ილიას-ძის ხმა, აღბეჭდილი გრამოფონის ფირფიტებზე.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიის ცნობა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1947 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ I კვარტალში

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობებით მრეწველობისა და ტრანსპორტის მუშაობა, კაპიტალურ სამუშაოთა და საცალო საქონელბრუნვის მოცულობა, აგრეთვე საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოებისათვის მზადება 1947 წლის პირველ კვარტალში ხასიათდება შემდეგი მონაცემებით:

I

წარმოების გეგმა 1947 წლის I კვარტალში მრეწველობის საერთო პროდუქციის მიხედვით ცალკეული სამინისტროების მიერ შესრულებულია შემდეგნაირად:

	1947 წლის I კვარტალის გეგმის შესრულების პროცენტი
შავი მეტალურგიის სამინისტრო	92
ფერადი მეტალურგიის სამინისტრო	99
დასავლეთი რაიონების ქვანახშირის მრეწველობის სამინისტრო	94
აღმოსავლეთი რაიონების ქვანახშირის მრეწველობის სამინისტრო	97
სამხრეთი და დასავლეთი რაიონების ნავთის მრეწველობის სამინისტრო	100
აღმოსავლეთი რაიონების ნავთის მრეწველობის სამინისტრო	91
ელექტროსადგურთა სამინისტრო	101
ქიმიური მრეწველობის სამინისტრო	104
ელექტრომრეწველობის სამინისტრო	103
კავშირგაბმულობის საშუალებათა მრეწველობის სამინისტრო	102
მძიმე მანქანათმშენებლობის სამინისტრო	97
საავტომობილო მრეწველობის სამინისტრო	100
დაზგათმშენებლობის სამინისტრო	100
მანქანათმშენებლობისა და ხელსაწყოთმშენებლობის სამინისტრო	100
სამშენებლო და საგზაო მანქანათმშენებლობის სამინისტრო	103
სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის სამინისტრო	96
სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტრო	91
სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო	92
სსრ კავშირის სატყეო მრეწველობის სამინისტრო	86
ცელულოზისა და ქაღალდის მრეწველობის სამინისტრო	93
რეზინის მრეწველობის სამინისტრო	93
სსრ კავშირის საფეიქრო მრეწველობის სამინისტრო	98
სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო	100
სსრ კავშირის დასავლეთი რაიონების თევზის მრეწველობის სამინისტრო	110
სსრ კავშირის აღმოსავლეთი რაიონების თევზის მრეწველობის სამინისტრო	89
სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრო	99
სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტრო	101
სსრ კავშირის საგემოვნო მრეწველობის სამინისტრო	101
სსრ კავშირის სამედიცინო მრეწველობის სამინისტრო	108
მოკავშირე რესპუბლიკათა ადგილობრივი და ადგილობრივი სათბობი მრეწველობის სამინისტრო	99

1947 წლის I კვარტალის გეგმა მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულეს შავი და ფერადი მეტალურგიის 113 საწარმომ, 318 ქვანახშირის შახტმა, 688 მანქანათმშენებელმა ქარხანამ, სატყეო და ქაღალდის მრეწველობის 159 საწარმომ და ტრესტმა, მსუბუქი და საფეიქრო მრეწველობის 373 საწარმომ, კვების მრეწველობის 727 ტრესტმა და ავტონომიურმა საწარმომ. გარდა ამისა, გეგმა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულა მოკავშირე რესპუბლიკათა მრეწველობის 3.020 რესპუბლიკურმა საწარმომ.

II

უმნიშვნელოვანესი სახეობის სამრეწველო პროდუქციის წარმოება 1947 წლის I კვარტალში 1946 წლის I კვარტალთან შედარებით შეიცვალა შემდეგნაირად:

	1947 წლის I კვარტალი პროცენტობით 1946 წლის I კვარტალთან შედარებით
თუჯი	110
ნავლინი	106
სპილენძი	109
თუთია	106
ტყვია	121
ქვანახშირი	104
ნავთი	115
ბუნებრივი გაზი	124
ელექტროენერგია	114
სამაგისტრალო ორთქლმავლები	5,3-ჯერ
სამაგისტრალო სატვირთო ვაგონები	427
სატვირთო ავტომობილები	132
მსუბუქი ავტომობილები	119
ავტობუსები	107
მეტალურგიული მოწყობილობა	121
ორთქლის ტურბინები	455
ელექტრომოტორები 100 კილოვატამდე	131
ელექტრომოტორები 100 კილოვატზე ზევით	119
ლითონსაჭრელი დაზგები	115
სართავი მანქანები	337
საქსოვი დაზგები	14-ჯერ
ტრაქტორები	193
ტრაქტორის გუთნები	223
ტრაქტორის სათესი მანქანები	397
ტრაქტორის კულტივატორები	9-ჯერ
კაუსტიკური სოდა	121
კალცირებული სოდა	109
მინერალური სასუქი (სუპერფოსფატი, აზოტისა და კალიუმისა)	132
სინთეზური საღებავები	121
სამასალო მერქნის გამოზიდვა	108
დახერხილი ხე-ტყის მასალა	112
ქაღალდი	126
ცემენტი	228
შიფერი	212
ფანჯრის მინა	158
ბამბის ქსოვილი	140
შალის ქსოვილი	145
ტყავის ფეხსაცმელი	151
რეზინის ფეხსაცმელი	216
წინდები	166
ერბო-კარაქი	169
მცენარეული ზეთი	104
თევზი	135
საპონი	114

1947 წლის პირველ კვარტალში გრძელდებოდა სამოქალაქო პროდუქციის წარმოების შემდგომი ზრდა. სსრ კავშირის მთელი მრეწველობის საერთო გამომუშავება სამოქალაქო პროდუქციის დარგში 1947 წლის I კვარტალში 1946 წლის I კვარტალთან შედარებით 20 პროცენტით გაიზარდა.

III

რკინიგზის ტრანსპორტის მუშაობას 1947 წლის პირველ კვარტალში მნიშვნელოვნად აძნელებდა გასული ზამთრის არახელსაყრელი მეტეოროლოგიური პირობები. საშუალო სადღეღამისო დატვირთვა რკინიგზებზე 1947 წლის I კვარტალში 1946 წლის I კვარტალის დონეზე დარჩა. მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი სახალხო-სამეურნეო ტვირთების ხაზით საშუალო სადღეღამისო დატვირთვა გაიზარდა: ქვანახშირისა—2 პროცენტით, ნავთისა—13 პროცენტით, ლითონისა—4 პროცენტით, ხეტყისა—8 პროცენტით; ცემენტის დატვირთვა ერთიორად და უფრო მეტად გადიდდა.

რკინიგზებზე დატვირთვის კვარტალური გეგმის 1947 წლის პირველ კვარტალში საშუალოდ 88 პროცენტით შესრულებისას დატვირთვა 1946 წლის პირველ კვარტალთან შედარებით გაადიდეს და 1947 წლის პირველი კვარტალის გეგმა მთლიანად და მათთვის უმნიშვნელოვანესი ტვირთების მიხედვით გადაჭარბებით შეასრულეს ოქტომბრის, ორჯონიკიძის, ამიერკავკასიის, თურქესტან-ციმბირის, ტაშკენტის, აშხაბადისა და იმიერბაიკალის რკინიგზებმა.

საზღვაო ტრანსპორტის ტვირთბრუნვის 1946 წლის პირველ კვარტალთან შედარებით 17 პროცენტით გადიდებისას „სოვტანკერმა" ერთისამად გაადიდა ტვირთბრუნვა, „კასპტანკერმა" 16 პროცენტით და შავი ზღვის სანაოსნომ—25 პროცენტით.

საზღვაო ტრანსპორტის ტვირთბრუნვის კვარტალური გეგმის საშუალოდ 83 პროცენტით შესრულებისას გეგმა გადაჭარბებით შეასრულა „სოვტანკერმა".

IV

კაპიტალურ სამუშაოთა მოცულობამ 1947 წლის პირველ კვარტალში მთლიანად სახალხო მეურნეობაში 109 პროცენტი შეადგინა 1946 წლის პირველი კვარტალის მიმართ, აქედან კაპიტალურ სამუშაოთა მოცულობამ ქვანახშირის მრეწველობაში — 106 პროცენტი, ელექტროსადგურების ხაზით—109 პროცენტი, სამოქალაქო მანქანათმშენებლობის ხაზით—112 პროცენტი, მსუბუქი და კვების მრეწველობის ხაზით—137 პროცენტი, ტრანსპორტის ხაზით—103 პროცენტი, საბინაო მშენებლობის ხაზით—121 პროცენტი.

1947 წლის პირველი კვარტალის განმავლობაში ამოქმედდა ქვანახშირის შახტები, რომელთა საწარმოო სიმძლავრე უდრის 1,3 მილიონ ტონა ქვანახშირს, ექვსი ტურბინი ელექტროსადგურებში, მათ შორის ლენინის სახელობის დნეპრის ჰიდროელექტროსადგურის პირველი აგრეგატი 72 ათასი კილოვატი სიმძლავრისა. ცემენტის ქარხნების სიმძლავრე გადიდდა 406 ათასი ტონით. საფეიქრო საწარმოებში ამუშავდა 67 ათასი სართავი თითისტარი.

V

საცალო საქონელბრუნვამ 1947 წლის პირველ კვარტალში შეადგინა (შესადარ ფასებში) 1946 წლის პირველი კვარტალის 125 პროცენტი.

პირველი კვარტალის მანძილზე კოოპერაციული ვაჭრობის საცალო ბრუნვა ქალაქებში კვლავ ვითარდებოდა და 1947 წლის მარტში 1946 წლის დეკემბერთან შედარებით თითქმის ერთისამად გაიზარდა. 1947 წლის პირველ კვარტალში ქალაქებსა და მუშათა დაბებში კოოპერაციულმა ორგანიზაციებმა დამატებით გახსნეს 15,5 ათასი მაღაზია, კარავი და ფარდული, 2,7 ათასი საზოგადოებრივი კვების საწარმო.

VI

1947 წლის პირველ კვარტალში მუშა-მოსამსახურეთა საერთო რიცხვი სახალხო მეურნეობაში 6 პროცენტით გადიდდა 1946 წლის პირველ კვარტალთან შედარებით.

მუშათა რიცხვი მრეწველობაში 1947 წლის პირველ კვარტალში 1946 წლის IV კვარტალთან შედარებით 4 პროცენტით გადიდდა.

1947 წლის პირველ კვარტალში საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლები დაამთავრა და მრეწველობაში და მშენებლობაზე სამუშაოდ გაიგზავნა 226 ათასი ახალგაზრდა კვალიფიციური მუშა.

VII

სოფლის მეურნეობაში 1947 წლის პირველ კვარტალში მზადება საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოებისათვის უფრო მაღალი დონით მიმდინარეობდა, ვიდრე შარშან. მანქანა-ტრაქტორთა სადგურებსა და საბჭოთა მეურნეობებში ტრაქტორების საშემოდგომო-საზამთრო რემონტი დადგენილი გეგმის შესაბამისად მიმდინარეობდა.

რსფს რესპუბლიკის მოსკოვის, ლენინგრადის, ბრიანსკის, ორიოლის, ყირიმის, მურმანსკისა და ტუვის ოლქების, უკრაინის სსრ კამენეც-პოდოლსკის, პოლტავის, ვოროშილოვგრადის, კიროვოგრადის, ვინიცის, კიევის, სტალინოს, სუმის, ხარკოვის, ჩერნიგოვის, ჟიტომირის ოლქების, ბელორუსიის სსრ, აზერბაიჯანის სსრ, სომხეთის სსრ, საქართველოს სსრ, ყირგიზეთის სსრ, ტაჯიკეთის სსრ, თურქმენეთის სსრ, ესტონეთის სსრ და ლატვიის სს რესპუბლიკის მანქანა-ტრაქტორთა სადგურებმა გეგმით დადგენილი ვადისათვის მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულეს ტრაქტორების რემონტის გეგმა.

VIII

სსრ კავშირის იმ რაიონებში, რომლებმაც ოკუპაცია განიცადეს, 1947 წლის პირველ კვარტალში ჩატარებულია 2,6 მილიარდი მანეთის კაპიტალური სამუშაოები. მრეწველობის საერთო პროდუქცია ამ რაიონებში 1947 წლის პირველ კვარტალში 1946 წლის პირველ კვარტალთან შედარებით 29 პროცენტით გადიდდა. თუჯის გამოდნობა ამ პერიოდში 19 პროცენტით გადიდდა, ელექტროენერგიის გამომუშავება — 33 პროცენტით, დონბასში ქვანახშირის ამოღება—12 პროცენტით.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისია

ეროვნული ბიბლიოთეკა

30 წელი ვ. ი. ლენინის აპრილის თეზისების გამოქვეყნებიდან

30 წლის წინათ, 1917 წლის 3 (16) აპრილს, ბოლშევიკური პარტიის ბელადი ვ. ი. ლენინი ემიგრაციაში დიდხანს ყოფნის შემდეგ შვეიცარიიდან რუსეთში დაბრუნდა. რევოლუციური რუსეთის ცენტრის—პეტროგრადის—მრავალრიცხოვანი მუშები, ჯარისკაცები და მეზღვაურები უდიდესი სიხარულით შეხვდნენ საყვარელ ბელადს ფინეთის ვაგზალზე და ხელებზე ატაცებული შეიყვანეს იგი ვაგზლის დიდ დარბაზში. აქ პეტროგრადის საბჭოს სახელით მენშევიკებმა ჩხეიძემ და სკობელევმა თავიანთ „მისასალმებელ" სიტყვებში მოუწოდეს ლენინს გამოენახა მათთან „საერთო ენა". ლენინმა მათ ყურადღება არ მიაქცია, გაეშურა მუშათა და ჯარისკაცთა მასებისაკენ და ჯავშნიანი ავტომობილიდან წარმოსთქვა ისტორიული სიტყვა, რომელიც დაამთავრა მოწოდებით — „გაუმარჯოს სოციალისტურ რევოლუციას"!.

პეტროგრადში ჩამოსვლის მეორე დღესვე ბოლშევიკების კრებაზე ლენინი გამოვიდა მოხსენებით პროლეტარიატის მიზნების შესახებ მიმდინარე რევოლუციაში. შემდეგ ამავე მოხსენების თეზისები ლენინმა წაიკითხა ბოლშევიკებისა და მენშევიკების კრებაზე. ეს იყო ლენინის განთქმული აპრილის თეზისები, ბოლშევიზმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი **პროგრამული** დოკუმენტი.

აპრილის თეზისები დაიწერა მაშინ, როცა, 1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შედეგად, უკვე დამხობილი იყო ხალხისათვის საძულველი მონარქისტული წყობილება, როცა ქვეყნის რევოლუციური განვითარების პირველი ეტაპი განვლილი, ხოლო პირველი სტრატეგიული ლოზუნგი შესრულებული იყო და იწყებოდა რევოლუციის განვითარების ახალი ეტაპი — სოციალისტური რევოლუციის მომზადების პერიოდი.

ლენინმა რუსეთში მომხდარი ამბების უდიდესი მნიშვნელობა ჯერ კიდევ შვეიცარიაში ყოფნის დროს აღნიშნა, მაგრამ რუსეთში ჩამოსვლისა და მდგომარეობის საფუძვლიანი შესწავლის შედეგად მან უფრო **ნათლად** და **სრულად** დასახა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების პერსპექტივები და პარტია გამოიყვანა ახალ გზაზე.

ბოლშევიკური პარტია თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვებით შექმნილ ახალ პირობებში ახალი ამოცანებისა და ლოზუნგების დასახვას ლენინის დაბრუნებამდე შეუდგა. აქ განსაკუთრებით აღსანიშნავია ი. ბ. სტალინის სტატიები, რომლებიც მისი გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ გამოქვეყნებული იყო „პრავდაში". ი. ბ. სტალინის სტატიებში — „მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების შესახებ", „ომის შესახებ", „სამინისტრო პორტფელების გზაზე", „რუსეთის რევოლუციის გამარჯვების პირობების შესახებ", „ნაციონალური შეზღუდულობის გაუქმების შესახებ" და სხვ. გარჩეულია მიმდინარე მომენტის უმნიშვნელოვანესი საკითხები, განზოგადებულია რევოლუციის გამარჯვების პირველი დღეების გამოცდილება და დასახულია ახალი ამოცანები. ეს იყო პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯები, რომლებსაც სინათლე შეჰქონდათ ახალი მდგომარეობის გაგების საქმეში. შემდგომ, ახალ ნაბიჯს წარმოადგენდა ლენინის აპრილის თეზისები. „საჭირო გახდა ლენინის განთქმული „აპრილის თეზისები" იმისათვის, რომ პარტია ერთი დაკვრით გამოსულიყო ახალ გზაზე" (სტალინი).

ბოლშევიკურ პარტიას, რომელიც შეიარაღებული იყო ლენინის მიერ „აპრილის თეზისებში" ჩამოყალიბებული კონკრეტული გეგმით, შეეძლო მტკიცედ და გაბედულად წაეყვანა მუშათა კლასი და ღარიბი გლეხობა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციიდან სოციალისტურ რევოლუციაზე გადასვლის გზით და მოეპოვებინა ძლევამოსილი გამარჯვება.

„ლენინის აპრილის თეზისები იძლეოდნენ გენიალურ გეგმას პარტიის ბრძოლისას ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციიდან სოციალისტურ რევოლუციაზე გადასვლისათვის, რევოლუციის პირველი ეტაპიდან მეორე ეტაპზე — სოციალისტური რევოლუციის ეტაპზე გადასვლისათვის. პარტია მთელი თავისი წინანდელი ისტორიით მომზადებული იყო ამ დიადი ამოცანისათვის" (საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორია, გვ. 224, 1938 წ.).

რა პირობებში უნდა განხორციელებულიყო რევოლუციის პირველი ეტაპიდან მეორე ეტაპზე გადასვლის ამოცანა?

თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის თავისებურება ის იყო, რომ იგი მოახდინეს მუშებმა და გლეხებმა, მაგრამ მუშების არასაკმაო შეგნებულობისა და არასაკმაო ორგანიზებულობის გამო ძალაუფლება ხელში ჩაიგდეს და დროებითი მთავრობა შექმნეს ბურჟუებმა და გაბურჟუებულმა მემამულეებმა. ამ მთავრობას არ გადაუწყვეტია და არც შეეძლო გადაეწყვიტა მომენტის ძირითადი საკითხები — ზავის, მიწის და პურის საკითხები. დროებითმა მთავრობამ ფაქტიურად განაგრძო დამხობილი მონარქიის საშინაო და საგარეო პოლიტიკა.

თებერვლის რევოლუციის თავისებურება ის იყო, რომ პეტროგრადში შეიქმნა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოები, რომელთა შემადგენლობაში და სათავეში აღმოჩნდნენ შეთანხმებლური პარტიების წარმომადგენლები: მენშევიკები და ესერები. ეს მოხდა იმიტომ, რომ თებერვლის დღეებში ბოლშევიკური პარტიის ლიდერები და აქტივისტები ემიგრაციაში, გადასახლებასა და საპატიმროებში იმყოფებოდნენ, ხოლო მენშევიკები და ესერები პეტროგრადის ქუჩებში თავისუფლად დასეირნობდნენ და შესაძლებლობა ჰქონდათ ახლად შექმნილ საბჭოებში მოეკალათებინათ. შეიქმნა ორხელისუფლებიანობა: დროებითი მთავრობა და საბჭოები.

პროლეტარიატი და ღარიბი გლეხობა რევოლუციის ასეთი შედეგით ვერ დაკმაყოფილდებოდა. რევოლუცია უნდა გაგრძელებულიყო და გადაზრდილიყო სოციალისტურ რევოლუციაში. ეს იქნებოდა განუწყვეტელი რევოლუციის ლენინური თეორიის პრაქტიკული განხორციელება, თეორიისა, რომელიც ჩამოყალიბებულ იქნა ჯერ კიდევ 1905 წელს ლენინის მიერ წიგნში — „სოციალ-დემოკრატიის ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში". რევოლუციის ერთი ეტაპიდან მეორე ეტაპზე გადასვლა, ანუ განუწყვეტელი რევოლუციის განხორციელება ბოლოს მოუღებდა ქვეყანაში ორხელისუფლებიანობას და მთელ ძალაუფლებას მოაქცევდა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების ხელში. მაგრამ ეს არ შეიძლებოდა მანამდე, სანამ საბჭოები მენშევიკურ-ესერული იყვნენ, სანამ საბჭოების ნდობით სარგებლობდა დროებითი მთავრობა. ამიტომ მოცემულ მომენტში ლენინი არ სახავდა დროებითი მთავრობის შეიარაღებული აჯანყების გზით დამხობის ამოცანას და აყენებდა ლოზუნგს: „არავითარი მხარდაჭერა დროებითს მთავრობას". რადგან მენშევიკებისა და ესერების წყალობით საბჭოები ბურჟუაზიისა და მისი დროებითი მთავრობის გავლენას ემორჩილებოდნენ ამოცანა ის იყო, რომ მასებში ახსნა-განმარტებითი მუშაობით საბჭოებიდან განდევნილი ყოფილიყვნენ მენშევიკები და ესერები. ამ ამოცანის განხორციელება სავსებით შესცვლიდა საბჭოების პოლიტიკას. ისინი განთავისუფლდებოდნენ ბურჟუაზიის გავლენისაგან. ამ პირობებში **მშვიდობიანი გზით** შეიძლებოდა მთელი სახელმწიფო ძალაუფლების გადასვლა მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ხელში. ეს იყო ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციაში მშვიდობიანი გადაზრდის გეზი, რომელიც გამოიმუშავა ლენინმა ჩვენს ქვეყანაში შექმნილი კონკრეტული ისტორიული ვითარების ანალიზის საფუძველზე. ამ გეზს ადგა პარტია მანამდე, სანამ ეს ვითარება არ შეიცვალა ახალი ვითარებით ე. ი. 1917 წლის ივლისის ამბებამდე.

1905 წლის რევოლუციისა და 1917 წლის თებერვლის რევოლუციების პერიოდში მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების მოქმედებისა და როლის ანალიზმა ლენინი იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ საბჭოები წარმოადგენდნენ პროლეტარული ხელისუფლების უფრო მაღალ ფორმას, ვიდრე პარლამენტური რესპუბლიკა. ამიტომ ლენინი თავის განთქმულ თეზისებში მოითხოვდა—„არა პარლამენტური რესპუბლიკა,—მუშათა დეპუტატების საბჭოებიდან მისკენ დაბრუნება ნაბიჯის უკან გადადგმა იქნებოდა,—არამედ მუშათა, მოჯამაგირეთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების რესპუბლიკა მთელ ქვეყანაში, თავიდან ბოლომდე". (იხ. საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორია, გვ. 225, 1938 წ.).

ლენინის მიერ საბჭოების, როგორც პროლეტარული ხელისუფლების ორგანოების ახალი ფორმის აღმოჩენას უდიდესი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა. ამით ლენინმა განავითარა, ახალ მაღალ საფეხურზე აიყვანა პროლეტარიატის დიქტატურის მარქსისტული თეორია, პარტიას მისცა ახალი, მძლავრი იარაღი მის წინაშე დასახული ამოცანების გადასაჭრელად.

თავის აპრილის თეზისებში ლენინი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციიდან სოციალისტურ რევოლუციაზე გადასვლისათვის სახავდა უმნიშვნელოვანესი ეკონომიური ღონისძიებების განხორციელების აუცილებლობას: უნდა მომხდარიყო სახელმწიფოს მთელი მიწის ნაციონალიზაცია და მემამულეთა მიწების კონფისკაცია, მისი გადაცემა მოჯამაგირეთა და გლეხთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების განკარგულებაში. მსხვილი მამულებისაგან უნდა შექმნილიყო სამაგალითო მეურნეობანი საზოგადოებრივი ხარჯით, რომლებიც დაექვემდებარებოდნენ მოჯამაგირეთა დეპუტატების საბჭოებს. მიწის საკითხში ამ ლოზუნგით აღსდგნენ საბრძოლველად მილიონობით ჯარისკაცები და გლეხები ბურჟუაზიისა და მემამულეთა წინააღმდეგ, ამ უკანასკნელთა ინტერესების გამომხატველი დროებითი მთავრობის წინააღმდეგ. შემდეგი ეკონომიური ღონისძიება უნდა ყოფილიყო ყველა არსებული ბანკის შეერთება ერთ ნაციონალურ ბანკად. უნდა დაწესებულიყო მუშათა დეპუტატების საბჭოების კონტროლი პროდუქტების საზოგადოებრივ წარმოებასა და განაწილებაზე.

თეზისებში ლენინი აყენებდა საკითხს პარტიული ყრილობის დაუყოვნებლივ მოწვევის, პარტიის პროგრამის შეცვლის, პარტიის სახელწოდების გამოცვლის, III კომუნისტური ინტერნაციონალის შექმნის შესახებ.

პარტიული ყრილობის მოწვევის აუცილებლობა იმით იყო ნაკარნახევი, რომ 1907 წელს ჩატარებული V ყრილობის შემდეგ პარტიას ათი წლის მანძილზე საშუალება არ ჰქონდა მოეწვია ყრილობა და თებერვლის რევოლუციის შემდეგ, როცა ქვეყანაში სავსებით ახალი ვითარება შეიქმნა და პარტიას სჭირდებოდა ახალი ორიენტაცია, ყრილობას უდიდესი როლი უნდა შეესრულებინა.

პარტიის პროგრამის შეცვლა იმიტომ იყო საჭირო, რომ პარტიის II ყრილობაზე მიღებული პროგრამა მოძველდა, ვერ ასახავდა კაპიტალიზმის განვითარების ახალი, იმპერიალისტური სტადიის თავისებურებებს, აგრეთვე მისი ნაწილი — პროგრამა-მინიმუმი, რომელიც განსაზღვრავდა პარტიის უახლოეს ამოცანებს, თებერვლის რევოლუციის გამარჯვების შედეგად უკვე შესრულებული იყო. ამიტომ პარტიას თავისი მომავალი მუშაობისათვის ახალი პროგრამა უნდა დაესახა.

პარტიის სახელწოდების გამოცვლის საჭიროებას ლენინი იმით ასაბუთებდა, რომ II ინტერნაციონალის პარტიებისა და რუსეთის მენშევიკების ოპორტუნისტული, მოღალატური მოქმედებით სოციალ-დემოკრატის სახელწოდება ჩირქმოცხებული და შერცხვენილი იყო. ჩვენს პარტიას უნდა გამოეცვალა ეს „ჭუჭყიანი თეთრეული" და მიეღო **კომუნისტური პარტიის** სახელწოდება, რომელიც მეცნიერულად სწორია და პარტიის საბოლოო მიზანზე მიუთითებს.

III კომუნისტური ინტერნაციონალის შექმნას მოითხოვდა მუშათა საერთაშორისო რევოლუციური მოძრაობის განვითარების ინტერესები. II ინტერნაციონალი, რომელმაც კრახი განიცადა პირველი მსოფლიო იმპერიალისტური ომის დასაწყისში, ველარ უპასუხებდა ამ ინტერესებს. ოპორტუნიზმისა და სოციალ-შოვინიზმისაგან თავისუფალ ინტერნაციონალს უდიდესი როლი შეეძლო შეესრულებინა რევოლუციური ძალების შემჭიდროებისა და რეაქციული ძალების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.

ამრიგად, აპრილის თეზისებში ლენინმა განიხილა იმპერიალისტური ომიდან რევოლუციური გზით გამოსვლის, იმპერიალისტური ბურჟუაზიის დამხობის, სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების გზების, ახალი ტიპის პროლეტარული სახელმწიფოს შექმნის და სხვა უმნიშვნელოვანესი საკითხები. ამით ლენინმა შეაიარაღა პარტია ახალი, ნათელი პროგრამით და დააყენა იგი სოციალისტური რევოლუციის დიად გზაზე.

ლენინის აპრილის თეზისებმა სოციალისტური რევოლუციის მტრების, შეთანხმებლური პარტიების ბანაკში აფეთქებული ყუმბარის შთაბეჭდილება მოახდინა. მენშევიკები გაიძახოდნენ—„ლენინი სამოქალაქო ომისაკენ მოუწოდებსო". ისინი „წინასწარმეტყველებდნენ", ლენინი იზოლირებული, რევოლუციის გარეთ დარჩებაო.

ბოლშევიკური პარტიის შიგნითაც აღმოჩნდნენ ადამიანები (ზინოვიევი, კამენევი, რიკოვი, პიატაკოვი, ნოგინი და სხვ.), რომლებიც გვერდში ამოუდგნენ შეთანხმებლურ პარტიებს და ბრძოლა გააჩაღეს ლენინის წინააღმდეგ. ამ ვაჟბატონებს სურდათ ჩვენს პარტიას ხელი აეღო სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის ბრძოლაზე. მაგრამ ისინი ანგარიშში მოსტყუვდნენ. პარტია მტკიცედ დაადგა ლენინის მიერ დასახულ გზას. მან განდევნა შეთანხმებლური პარტიები — მენშევიკები და ესერები მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებიდან, ფართო მასების წინაშე ამხილა დროებითი მთავრობის ბურჟუაზიულ-მემამულური, იმპერიალისტური, ანტიხალხური ხასიათი, მოამზადა მუშათა კლასი და ღარიბი გლეხობა რევოლუციისათვის, გადალახა ყველა და ყოველგვარი სიძნელე და დაბრკოლება სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის მზადების პერიოდში და თავისი დიდი ბელადების—ლენინისა და სტალინის ხელმძღვანელობით მოახდინა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია.

ამხანაგი სტალინი გვასწავლის, რომ ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება და საბჭოთა ხელისუფლების დამყარება ჩვენს ქვეყანაში იყო სოციალისტური რევოლუციისა და პროლეტარიატის დიქტატურის **ლენინური თეორიის პრაქტიკული განხორციელების კლასიკური ნიმუში.**

ლენინ-სტალინის სახელოვანი პარტიისა და ბრძენი ბელადის დიდი სტალინის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხი ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ მძლავრი ნაბიჯებით წავიდა წინ. მან ააშენა სოციალისტური საზოგადოება, დაიცვა იგი მრავალრიცხოვან მტრებთან ბრძოლებში, მოიპოვა მსოფლიო-ისტორიული გამარჯვება დიდ სამამულო ომში და საბჭოთა სახელმწიფო უძლეველ ქვეყნად გადააქცია.

წარმატებით ასრულებს რა სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ახალ ხუთწლიან გეგმას, საბჭოთა ხალხი განუხრელად მიდის წინ სრული კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის დიადი გზით.

დოცენტი ს. ლარცულიანი



ვ. ი. ლენინის ემიგრაციიდან პეტროგრადში დაბრუნების 30 წლისთავისათვის

სურათზე: ვ. ი. ლენინის შეხვედრა პეტროგრადში ფინეთის სადგურთან 1917 წლის 16 აპრილს.

(ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის მხატვარ პ. ვასილიევის ნახატიდან).

◇ ★ ◇

საშემოდგომო ხორბლეულის ნათესს ცუდად უვლიან

საშემოდგომო ხორბლეულის ნათესების მარგვლა სიღნაღის რაიონში არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. რაიონის 49 კოლმეურნეობიდან 14 კოლმეურნეობას ყანის მარგვლა არ დაუწყია. მათ რიცხვში არიან საქობოს ლენინის და ორჯონიკიძის სახელობის, ბოდბისხევის სტალინის, ტიბაანის პირველი მაისის სახელობის კოლმეურნეობები.

ნათესების დამუშავების ხარისხის კონტროლი ყველგან არ არის მოწყობილი. მაგალითად, ძველი ანაგის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე ნ. ჩალაბაშვილი) მეორე ბრიგადის (ხელმძღვანელი მ. მჭედლიშვილი) ყანაში 3 აპრილს 16 კოლმეურნე ცუდად მუშაობდა. ისინი ნარს კი არ გლეჯდნენ, არამედ ფეხით სთელავდნენ, ხოლო სარეველა ბალახის დიდ ნაწილს ამოუღებელს სტოვებდნენ და თავების წაწყვეტით კმაყოფილდებოდნენ. ეს იმიტომაც ხდება, რომ კოლმეურნეობაში ნათესების დამუშავება არ სწარმოებს რგოლების მიხედვით. რგოლებს დღემდე არ აქვთ მიჩენილი ნაკვეთები. მერგოლეებმა სირანა და ანა კანდელაკიშვილებმა და ეთერ ზურაშვილმა განაცხადეს, როგორ ვიმუშაოთ რგოლურად, როცა არ ვიცით ჩვენი ნაკვეთები სად არისო.

საშემოდგომო ნათესების მარგვლას აჭიანურებენ სოფელ ქვემო მაჩხაანის კოლმეურნეობა „წითელ ოქტომბერში" (თავმჯდომარე მ. თითილოკაშვილი). ამ სოფლის დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ა. შანშაშვილი) ყანების დიდი ნაწილი დასარეველიანებულია. მარგვლა კი ან არ სწარმოებს, ან ამ სამუშაოს ცუდი ხარისხით ასრულებენ.

მთელ რიგ კოლმეურნეობებში შრომა მოუწესრიგებელია, ბრიგადები და რგოლები არ არის დაკომპლექტებული. ზოგან რგოლები მხოლოდ ფორმალურად არის გამოყოფილი, მათთვის მიჩენილი არ არის ნაკვეთები. აღრიცხვაც არეულ-დარეულია.

სოფელ ანაგის კოლმეურნეობა „ნაპერწკალის" 82 კოლმეურნეს მიმდინარე წლის იანვრის, თებერვლისა და მარტის განმავლობაში არც ერთი შრომადღე არ გამოუმუშავებია. ეს მდგომარეობა არც აპრილში გამოსწორებულა. მესამე ბრიგადაში (ხელმძღვანელი რ. შოშიტაშვილი) 57 კოლმეურნეა. მათგან 1 აპრილს 44 კოლმეურნე არ ყოფილა სამუშაოზე, 2 აპრილს 50 კოლმეურნე, 3 და 4 აპრილს—35 კოლმეურნე. სამუშაოს სისტემატურად აცდენენ კოლმეურნეები ტიტე ბოსტაშვილი, ნიკო მერაბიშვილი და გაბრო ბაბალაშვილი. არც კოლმეურნეობის გამგეობა და არც პარტიული ორგანიზაცია არ იღებენ ზომებს შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის. ადგილი აქვს შრომადღეების განიავებას. კოლმეურნე ილო ბაბალაშვილისათვის თივის გადასაზიდად ერთი შრომადღე უნდა დაერიცხათ, სინამდვილეში კი 2 შრომადღე დაურიცხეს. კოლმეურნე გ. ხატიაშვილს ნაცვლად 1,5 შრომადღისა 2,12 შრომადღე დაურიცხეს. მსგავსი მაგალითების მოყვანა ბლომად შეიძლება. შრომის დისციპლინის სისუსტითაა გამოწვეული, რომ კოლმეურნეობის საშემოდგომო ხორბლეულის ნათესები ჯერ კიდევ დაუმუშავებელია.

ბოდბისხევის კოლმეურნეობა „წითელ ოქტომბერში" (თავმჯდომარე გ. ნონიაშვილი) მევენახეობის ბრიგადირს ალ. ფათალიშვილს არა აქვს მიცემული საწარმოო გეგმა. მან არ იცის, როდის რა სამუშაოები აქვს შესასრულებელი. ამ ბრიგადის ვენახები მოსავლელად მიჩენილი არა აქვთ რგოლის წევრებს.

შემოდგომის ნათესებს კარგი პირი უჩანს, მაგრამ მათი დამუშავებისათვის თუ აქედანვე არ ვიზრუნეთ უხვ მოსავალს ვერ მივიღებთ.

გ. ყაჯრიშვილი

„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

შეუფერხებლად ვამარაგოთ მშენებლობა მაღალხარისხოვანი აგურით

ვაკისა და ღრმაღელის აგურის ქარხნებმა შარშან ცუდად იმუშავეს. პირველმა წითელი აგურის გამოშვების წლიური გეგმა 57,1 პროცენტით შეასრულა, ხოლო მეორემ — 69,9 პროცენტით. თბილისის სამშენებლო ობიექტებს მათ დააკლეს 3 მილიონ ცალზე მეტი აგური.

მიმდინარე წელს ვაკისა და ღრმაღელის აგურის ქარხნების ხელმძღვანელთა წინაშე დასახულია ამოცანა — უნარიანად მოემზადონ სეზონისათვის, უზრუნველჰყონ მთელი სეზონის მანძილზე აგურის შეუფერხებელი გამოწვა და აუცილებლად შეასრულონ წლიური გეგმა. წელს ვაკის აგურის ქარხანამ თბილისის მშენებლობებს უნდა მიაწოდოს 6.500 ათასი ცალი აგური, ღრმაღელის ქარხანამ — 6 მილიონი ცალი.

სეზონისათვის მოსამზადებლად თბილისის აგურის ქარხნებში მთელ რიგ ღონისძიებებს ახორციელებენ. ვაკის აგურის ქარხანაში ააგეს 500 ათასი ცალი ნედლი აგურის ტევადობის ფარდული და მუშათა საერთო საცხოვრებელი, შეაკეთეს თიხის საზელი მანქანები, დადგეს ახალი მანქანა, ამთავრებენ ღუმელების შეკეთებას, წყლის მარაგის შესაქმნელად მოამზადეს აუზები, ქარხნის დამხმარე სახელოსნოში დაამზადეს ალიზის საზიდი ვაგონეტები, საყალიბე ჩარჩოები, მაგიდები, სილის ყუთები, თუნუქის ვედროები.

ღრმაღელის აგურის ქარხანაში კიდევ უფრო დიდი სამშენებლო სამუშაოებია გაჩაღებული. ქარხანასთან შენდება დიდი საწარმოო კორპუსი, რომელშიც დაიდგმება ალიზის მექანიკურად დამყალიბებელი ორი აგრეგატი. მათი ამუშავების შემდეგ საჭირო აღარ იქნება ალიზის კუსტარულად დაყალიბება. ეს აგრეგატები უზრუნველჰყოფენ იმდენი ნედლი აგურის დაყალიბებას, რამდენიც საჭირო იქნება ქარხნის საპროექტო სიმძლავრის სრული ათვისებისათვის. ერთი ასეთი აგრეგატი უკვე მიღებულია და ამჟამად სწარმოებს მისი დამონტაჟება. მეორე აგრეგატს ამ დღეებში მიიღებენ კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხნიდან. მექანიკურად დაყალიბებული ალიზის გასახმობად აგებენ კელერის სისტემის 10 კამერას, რომლებიც ერთდროულად დაიტევენ 220 ათას ცალ აგურს. თვითეულ კამერაში გაყვანილ იქნება ვიწროლიანდაგიანი რკინიგზა, რომელზეც იმოძრავებენ და მექანიკურად დააწყობენ საყალიბო აგრეგატიდან წამოღებულ ალიზს სპეციალური ურიკები. სწარმოებს ქარხნის ეზოსა და საწარმოო ტერიტორიის გასუფთავება. ახლადაგებული ჰოფმანის ღუმელი სავსებით მზად არის ასამუშავებლად.

თბილისის საბჭოს აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის განყოფილებამ ორივე ქარხანას გამოუყო 300-ზე მეტი ტონა ქვანახშირი, რომლის გადმოზიდვას ამ დღეებში შეუდგებიან.

მუშახელით ქარხნები ძირითადად უზრუნველყოფილი არიან. ვაკის ქარხანაში ამას წინათ მიიღეს 80 კაცი და პროფესიების დასაუფლებლად მიამაგრეს ძველ გამოცდილ მუშებს.

ორივე ქარხანაში სააგურე თიხა თითქმის მთლიანად აქვთ დამზადებული და 26 მარტიდან შეუდგნენ ალიზის დაყალიბებას. გამუდმებით მუშაობენ თიხის საზელი მანქანები, მოზელილ თიხას ვაგონეტებით ეზიდებიან საყალიბო მოედანზე. აქ გამოცდილი მეყალიბეები სწრაფად აყალიბებენ აგურს და აწყობენ მისთვის მიჩენილ ადგილას. 15 აპრილიდან დაიწყო ნედლი აგურის ჰოფმანის ღუმელებში ჩაწყობა იმ ანგარიშით, რომ აპრილის ბოლო რიცხვებში ქარხნებმა პირველი პროდუქცია მიაწოდონ ახალ მშენებლობებს.

იწყება აგურის ქარხნების მუშაობის პასუხსაგები პერიოდი. თბილისის საბჭოს აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის განყოფილებისა და ქარხნების ხელმძღვანელებმა ყველაფერი უნდა გააკეთონ იმისათვის, რომ აგურის ქარხნები სეზონის დასაწყისიდანვე შეუფერხებლად მუშაობდნენ. ამის მისაღწევად კი მთელი რიგი საკითხების მოგვარებაა საჭირო. მაგალითად, ვაკის აგურის ქარხანას მხოლოდ ორი საბარგო ავტომობილი აქვს და ისიც საკმაოდ ძველებული, რაც ვერ უზრუნველჰყოფს ქარხნისათვის საჭირო ქვანახშირისა და სილის მიზიდვას. გასულ წელს ტრანსპორტის სიმცირის გამო ქვანახშირისა და სილის მიზიდვა ხშირად ბრკოლდებოდა, რაც გავლენას ახდენდა ქარხნის შეუფერხებელ მუშაობაზე.

ადგილობრივი მრეწველობის განყოფილებამ წელს მეტი უნდა იზრუნოს მუშათა კვების გაუმჯობესებისათვის. საზკვებტრესტის სასადილო, რომელიც მომსახურებას უწევს ვაკის აგურის ქარხნის მუშებს, ცუდად მუშაობს. აქ ხშირად დაბალი ხარისხის პროდუქტები მოაქვთ, უხარისხო და უგემური კერძებით უმასპინძლდებიან მუშებს.

ქარხნების პარტიული და პროფესიული ორგანიზაციების მოვალეობაა ფართოდ გააჩაღონ მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა, განუმარტონ მუშებს მეოთხე ხუთწლედის მეორე წელს მათ წინაშე დასახული ამოცანები, გააცნონ ლენინგრადელთა მიმართვა და ერთსულოვნად დარაზმონ ისინი გეგმების შესრულებისათვის საბრძოლველად.

თბილისში ფართოდ გაჩაღებული მშენებლობა მეტ და მაღალხარისხოვან საკედლე მასალას მოითხოვს აგურის ქარხნებისაგან. ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილება აგურის ქარხნების მუშათა კოლექტივების ღირსების საქმეა.

ს. თევდორაძე

საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოში

14 აპრილის სხდომა

თავმჯდომარეობდა **ვ. მ. მოლოტოვი.** მინისტრები განაგრძობდნენ გერმანიის საზავო ხელშეკრულების მომზადების პროცედურის პროექტის განხილვას, ხოლო შემდეგ შეუდგნენ გერმანიის განიარაღებისა და დემილიტარიზაციის შესახებ ამერიკის დელეგაციის მიერ შეტანილი ხელშეკრულების პროექტის განხილვას.

გერმანიის საზავო ხელშეკრულების მომზადების პროცედურის შესახებ

მოხდა აზრთა გაცვლა-გამოცვლა საზავო კონფერენციის შემადგენლობისა და მისი მუშაობის პროცედურის შესახებ. წინათ ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაცია დაჟინებით მოითხოვდა, რომ საზავო კონფერენციაზე თანაბარი უფლებებით ყოფილიყო წარმოდგენილი ყველა სახელმწიფო, რომელიც ომის მდგომარეობაში იყო გერმანიასთან. ახლა **ჯ. მარშალმა** განაცხადა, ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაცია მზად არის დაეთანხმოს, რომ საზავო კონფერენციის მიერ რეკომენდაციათა მიღებისას გადამწყვეტ როლს ასრულებდეს იმ მოკავშირე სახელმწიფოთა ხმები, ვისი შეიარაღებული ძალებიც მონაწილეობას იღებდნენ გერმანიასთან ომში. მარშალმა განმარტა მის მიერ შემოტანილი წესი კენჭისყრისა და სთქვა:

— ეს იმას ნიშნავს, რომ არ იქნება „ორი მესამედის" რეკომენდაციები, თუ რეკომენდაციებს მხარს არ უჭერს იმ დამსწრე და ხმისმიმცემ სახელმწიფოთა ხმების ორი მესამედი, რომლებიც გერმანიის მეზობლები არიან, ან რომლებიც თავიანთი შეიარაღებული ძალებით მონაწილეობდნენ გერმანიის წინააღმდეგ საერთო ბრძოლაში. ამის ანალოგიურად ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაცია მზად არის დაეთანხმოს, რომ ეგრეთწოდებული „უბრალო უმრავლესობის" რეკომენდაციებისათვის საჭირო იყოს არა მარტო ყველა დამსწრე და ხმისმიმცემ სახელმწიფოთა უმრავლესობა, არამედ იმ დამსწრე და ხმისმიმცემ სახელმწიფოთა უმრავლესობაც, რომლებიც გერმანიის მეზობლები არიან ან რომლებიც თავიანთი შეიარაღებული ძალებით მონაწილეობდნენ გერმანიის წინააღმდეგ საერთო ბრძოლაში.

ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციამ წინადადება წამოაყენა, რომ გერმანიის კონსტიტუციაში შეტანილ იქნას დებულება, რომელიც ითვალისწინებს, რომ გერმანიის მთავრობამ მიიღოს და რატიფიკაცია უყოს საზავო ხელშეკრულებას.

ჟ. ბიდომ და ე. ბევინმა მხარი დაუჭირეს მარშალის წინადადებას საზავო კონფერენციის პროცედურის შესახებ, მაგრამ განაცხადეს, რომ მათ ესაჭიროებათ დრო, რათა მოიფიქრონ კონფერენციის შემადგენლობა. ჟ. ბიდო შეეხო ამერიკის წინადადებას გერმანიის კონსტიტუციაში საზავო ხელშეკრულებაზე განსაკუთრებული პუნქტის შეტანის შესახებ და განაცხადა, რომ საფრანგეთი ამჯობინებს გერმანიაში ერთი საერთო პლებისციტი ჩატარდეს საზავო ხელშეკრულებისა და კონსტიტუციის ერთდროულად დამტკიცებისათვის.

ვ. მ. მოლოტოვმა წინადადება წამოაყენა მიეღოთ რეკომენდაციათა შემუშავების იგივე პროცედურა, რომელიც პარიზის საზავო კონფერენციაზე არსებობდა. რაც შეეხება საზავო კონფერენციის შემადგენლობას, — სთქვა მოლოტოვმა, — საბჭოთა მთავრობის თვალსაზრისი ამის თაობაზე ცნობილია. საბჭოთა მთავრობის აზრით, საზავო კონფერენციის წევრებად უნდა იყვნენ გერმანიის მეზობელი მოკავშირე სახელმწიფოები და ის სახელმწიფოები, რომლებიც თავიანთი შეიარაღებული ძალებით მონაწილეობდნენ გერმანიის წინააღმდეგ ომში. ამასთანავე საბჭოთა მთავრობას საჭიროდ მიაჩნია განიხილოს აგრეთვე როგორც საზავო ხელშეკრულების მომზადებაში, ისე საზავო კონფერენციაში მონაწილეობისათვის სხვა მოკავშირე სახელმწიფოთა მოწვევის საკითხი. საზავო ხელშეკრულების მომზადებასა და თვითონ საზავო კონფერენციაში სხვა მოკავშირე სახელმწიფოთა მონაწილეობის პირობები განხილულ უნდა იქნას აქ.

ვ. მ. მოლოტოვმა სთქვა, რომ საბჭოთა დელეგაცია იფიქრებს ამერიკის წინადადების გამო გერმანიის მომავალ კონსტიტუციაში განსაკუთრებული პუნქტის შეტანაზე საზავო ხელშეკრულების აღიარების შესახებ.

შემდეგ მინისტრებმა განიხილეს მუდმივ კომიტეტთა შემადგენლობის საკითხი, რომლებიც განზრახულია შეიქმნას გერმანიის საზავო ხელშეკრულების საკითხთა შესასწავლად. საბჭოთა დელეგაცია წინადადებას იძლევა, როგორც ეს პოტსდამის კონფერენციის გადაწყვეტილებებს შეესაბამება, რომ მუდმივი კომიტეტები შესდგებოდნენ ოთხი სახელმწიფოს წარმომადგენელთაგან — მინისტრების საბჭოს წევრთაგან. ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის დელეგაციებს წინადადება შეაქვთ მნიშვნელოვნად გაფართოვდეს ამ კომიტეტების შემადგენლობა. საფრანგეთის დელეგაციამ, რომელიც დაეთანხმა იმას, რომ კომიტეტების წევრები უნდა იყვნენ ოთხი სახელმწიფოს წარმომადგენლები, ამავე დროს წინადადება შეიტანა მიიწვიონ ამ კომიტეტების მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად დაინტერესებულ მოკავშირე სახელმწიფოთა წარმომადგენლები.

ვ. მ. მოლოტოვმა მხარი დაუჭირა საფრანგეთის დელეგაციის წინადადებას ერთი დაზუსტების პირობით. უნდა აღინიშნოს, — განაცხადა მან, — რომ მუდმივი კომიტეტების შემადგენელი ოთხი სახელმწიფო მოიწვევს განსახილველ პრობლემებზე მსჯელობაში მონაწილეობისათვის გერმანიის მეზობელ მოკავშირე სახელმწიფოებს და სხვა მოკავშირე სახელმწიფოებს, რომლებიც თავიანთი შეიარაღებული ძალებით მონაწილეობდნენ საერთო ბრძოლაში გერმანიის წინააღმდეგ. მე ვფიქრობ, — სთქვა მოლოტოვმა, — რომ ჩვენგან არავის არ სურს დაჩაგროს რომელიმე ქვეყანა, რომელიც ჩვენთან ერთად გერმანიის წინააღმდეგ იბრძოდა. მაგრამ ჩვენ იმისათვის ვზრუნავთ, რომ რაც შეიძლება უფრო მიზანშეწონილად მოეწყოს საზავო ხელშეკრულების მომზადება და ამასთან დავიწყებულ არ იქნას ამ საკითხზე წინათ მიღებული გადაწყვეტილებანი.

მინისტრებმა გადასწყვიტეს მიანდონ თავიანთ მოადგილეებს — კვლავ განიხილონ მუდმივ კომიტეტთა შემადგენლობის საკითხი.

მინისტრებმა ერთმანეთს აზრი გაუზიარეს მოკავშირე სახელმწიფოთა საინფორმაციო-საკონსულტაციო თათბირის შემადგენლობის შესახებაც. ამ საკითხთან დაკავშირებით **ვ. მ. მოლოტოვმა** წინადადება შეიტანა — ამის შესაძლებლობა მიენიჭოს ირანს და იმ სხვა სახელმწიფოთა ერთგვარ განსაზღვრულ რაოდენობას, რომლებმაც ეფექტურად შეუწყეს ხელი გერმანიის წინააღმდეგ ომს, რომ მათთვის საინტერესო საკითხებზე თავიანთი განცხადებანი გააკეთონ საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოში, მოადგილეთა თათბირებზე და მინისტრების საბჭოს შესაბამის კომიტეტებსა და ქვეკომიტეტებში, აგრეთვე საზავო კონფერენციაზე. ვ. მ. მოლოტოვმა მოაგონა სხდომას, რომ სსრ კავშირს და დიდ ბრიტანეთს ირანის მიმართ გარკვეული ვალდებულებანი აქვთ, რაც მათ იკისრეს გერმანიასთან ომის დროს. ამ ვალდებულებათა შესაბამისად, აგრეთვე სამი დიდი სახელმწიფოს მეთაურების მიერ ირანის შესახებ ხელმოწერილი დეკლარაციის შესაბამისად საბჭოთა დელეგაციას შეაქვს თავის წინადადება.

ე. ბევინმა ამაზე უპასუხა, რომ, სანამ საზავო კონფერენციის შემადგენლობა დადგენილი არ იქნება, ძალიან ძნელია საბჭოთა დელეგაციის მიერ დაყენებული საკითხის გადაწყვეტა. ამ საკითხზე შეთანხმებული გადაწყვეტილება არ ყოფილა მიღწეული.

გერმანიის განიარაღებისა და დემილიტარიზაციის შესახებ ოთხმხრივი ხელშეკრულების პროექტის განხილვა

ჯ. მარშალის განცხადება

ჯ. მარშალმა განაცხადა:

— ერთი წლის წინათ საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს სხდომაზე პარიზში ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ბირნსმა წარადგინა პროექტი ხელშეკრულებისა, რომლითაც ოთხი ძირითადი მოკავშირე სახელმწიფო ვალდებულებას კისრულობს ერთობლივი მოქმედების შესახებ, რათა გერმანია განიარაღებული იყოლიონ 25 წლის განმავლობაში ან უფრო მეტ ხანს. ეს წინადადება იმიტომ იქნა წამოყენებული, რომ შეერთებულმა შტატებმა გადასწყვიტეს აქტიური მონაწილეობა მიეღოთ გერმანიის განიარაღებულად დატოვებაში.

მას შემდეგ ერთი წელიწადი გავიდა. დრო მოსაფიქრებლად საკმარისი იყო. შეერთებული შტატების მთავრობა იმ აზრისაა, რომ ამჟამად დროა გადაწყდეს — სურთ თუ არა მოკავშირე სახელმწიფოებს ხელშეკრულება გერმანიის განიარაღებისა და დემილიტარიზაციის შესახებ. რაც შეეხება ხელშეკრულების ტექსტს, შეერთებული შტატები მუდამ აღიარებდნენ, რომ სასურველია ზოგიერთი ცვლილება წარმოდგენილ წინასწარ ტექსტში ამ საკითხის შემდგომი შესწავლის საფუძველზე.

ამჟამად ვფიქრობ, რომ ხელშეკრულებაში შეიძლება გავითვალისწინოთ მისი პირობების პერიოდული გადასინჯვა. კერძოდ, მას შემდეგ, რაც დამთავრდება გერმანიის საზავო ხელშეკრულება, ოთხმხრივი ხელშეკრულება შეიძლება გადაისინჯოს, რათა შევუფარდოთ იგი საზავო ხელშეკრულების დებულებებს. წინადადება შემომაქვს აგრეთვე, რომ ყველა აკრძალვითი დადგენილება, რომლებიც ოთხმხრივ ხელშეკრულებაში იქნება, შეტანილ იქნას საზავო ხელშეკრულებაში, რათა ვალდებული გავხადოთ გერმანიის სახელმწიფო დაიცვას ეს პირობები. მაშინ ეს პირობები გადაიქცეოდა გერმანიის ეროვნულ კანონად, რომელსაც ყოველი გერმანელი ინდივიდუალური წესით უნდა დამორჩილებოდა და რომლის განხორციელებაც გერმანიის სასამართლო ორგანოებისათვის სავალდებულო იქნებოდა.

ეჭვი არ მეპარება, — დაასკვნა ჯ. მარშალმა, — რომ შეიძლებოდა სხვა წინადადებანიც შეგვეტანა ხელშეკრულების პროექტში, რომლებიც შესძლებენ გააუმჯობესონ მისი ტექსტი და ამავე დროს დასტოვონ იგი მარტივი და უაღრესად ზუსტი. მიუხედავად ამისა, მინისტრების საბჭოს არა ვთხოვ ამჟამად შეუდგეს ხელშეკრულების პროექტის ტექსტის განხილვას. გადაწყვეტილება, რომელიც ჩვენ გვსურს მიღებული ვიხილოთ, ის არის, რომ აქ წარმოდგენილმა სამმა სხვა სახელმწიფომ განაცხადოს, რომ მათ სურთ ჰქონდეთ ოთხმხრივი ხელშეკრულება შეიარაღებული გერმანიის აღორძინების თავიდან აცილებლად. თუ ეს მიღებულ იქნა, წინადადებას შემოვიტან დაინიშნონ სრულუფლებიანი წარმომადგენლები შემოტანილი ხელშეკრულების საბოლოო ტექსტის შესახებ მოლაპარაკების სასწრაფოდ წარმოებისათვის.

ჟ. ბიდოს განცხადება

— საფრანგეთის დელეგაციას უკვე არაერთხელ აღუნიშნავს, რომ იგი პრინციპულად ეთანხმება ერთი წლის წინათ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მიერ წამოყენებულ წინადადებას გერმანიის განიარაღებისა და დემილიტარიზაციის თაობაზე ოთხმხრივი ხელშეკრულების დადების შესახებ. მაგრამ, იმ დებულებათა მიუხედავად, რომლებიც ხელშეკრულებაში იქნება, საფრანგეთის დელეგაციას საჭიროდ მიაჩნია, რომ ხელშეკრულებაში კონკრეტიზებული იყოს იმ სახელმწიფოთა პასუხისმგებლობა და განსაკუთრებული ვალდებულებანი, რომლებიც ამოცანად ისახავენ ხელი შეუშალონ გერმანიის აგრესიის განახლებას. ასეთი აქტი საყოველთაო უშიშროების გარანტია იქნება. საჭიროა აგრეთვე აღინიშნოს ხელშეკრულების დამდები ოთხი სახელმწიფოს თანხმობა იმ საშუალებათა და მიზანთა შესახებ, რომლებსაც ისინი ისახავენ.

სანამ ეს თანხმობა იარსებებს — ხოლო ხელშეკრულების წარმოდგენილი პროექტი შეიძლება მისი შენარჩუნების საუკეთესო ინსტრუმენტი გახდეს, — გერმანია ვეღარ გახდება საშიში. ამ სესიის სიძნელეებსა და უთანხმოებაში ჩვენ ხშირად გვავიწყდება ეს ელემენტარული ჭეშმარიტება. რასაკვირველია, არსებობს გერმანიის სამშვიდობო მოწესრიგების მნიშვნელოვანი საკითხები, კერძოდ, რეპარაციების, ეკონომიური ერთიანობისა და სხვა საკითხები, რომლებშიც ერთმანეთს ეწინააღმდეგება სხვადასხვა თვალსაზრისი. მაგრამ ამ უთანხმოებამ არ უნდა დაგვავიწყოს ყველაზე არსებითი რამ, სახელდობრ ის, რომ არასოდეს აღარ უნდა იყოს ჩვენ მიერ გადატანილი ორი ომის მსგავსი ომები. ამისათვის ჩვენ დიდი ხნით უნდა გადავწყვიტოთ გერმანიის ძირითადი პრობლემები. ეს მომავალში უზრუნველჰყოფს მოკავშირე ქვეყნების ერთობლივ მოქმედებას.

ამერიკის დელეგაციის ინიციატივა საფუძველს გვაძლევს ვამტკიცოთ, რომ, რა უთანხმოებაც უნდა არსებობდეს ჩვენს შორის, მოკავშირეებს ურყევი განზრახვა აქვთ შეინარჩუნონ საერთო ფრონტი და მომავალში დაიცვან მოქმედების ის ერთიანობა, რომელმაც მათ გამარჯვება მოაპოვებინა. ამ მიზეზების გამო საფრანგეთის დელეგაცია მიესალმება ამერიკის დელეგაციის წინადადებებს.

საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოსათვის 1946 წლის 30 აპრილს წარდგენილი ხელშეკრულების პროექტი ჩვენ გულდასმით შევისწავლეთ. მე მსურს ამჟამად დავეჯერდე რამდენიმე შენიშვნას იმ პუნქტების გამო, რომლებიც საფრანგეთის დელეგაციას ძირითად პუნქტებად მიაჩნია.

ჯერ ერთი, ხელშეკრულება მოითხოვს გათვალისწინებულ იქნას იმის განსაკუთრებული გარანტიები, რომ გერმანია შეასრულებს განიარაღებისა და დემილიტარიზაციის იმ პირობებს, რაც მას დაკისრებული აქვს. ამასთან დაკავშირებით უნდა დაზუსტდეს, თუ როგორი იქნება ეს პირობები. წარმოდგენილი პროექტი თითქოს მიაკუთვნებს მათ წმინდა სამხედრო დარგს და ამავე დროს ცდილობს ჩამოსთვალოს ეს პირობები. საფრანგეთის დელეგაციას ჰგონია, რომ უფრო მარტივი და მასთან ეფექტიანიც იქნება დავიმოწმოთ ვალდებულებანი, რომლებიც გერმანიას დაკისრებული აქვს დეკლარაციით მისი კაპიტულაციის შესახებ და შემდგომი საერთაშორისო დოკუმენტებით, მათ შორის გერმანიის საკონტროლო საბჭოს და საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს გადაწყვეტილებებით, აგრეთვე დებულებანი, რომლებიც მოყვანილ იქნება საზავო ხელშეკრულებაში. ამრიგად, ოთხმხრივი ხელშეკრულება ყველა მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისი იქნება. ჩვენ აგრეთვე იმ აზრისა ვართ, რომ განიარაღება და დემილიტარიზაცია უნდა გვესმოდეს უაღრესად სრული აზრით, მათ შორის ეკონომიკისა და მეცნიერების მხრივაც.

მეორე, ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია, რომ ხელშეკრულებას მიენიჭოს უცილობლობის ხასიათი. სხვა სიტყვით რომ ვთქვათ, გერმანიის განიარაღების პრობლემა განხილულ უნდა იქნას ცალკე, ამ პრობლემის გადაწყვეტასა და საერთო განიარაღებას შორის რაიმე კავშირის დაუშვებლად. წარსულის გამოცდილება საშუალებას გვაძლევს გავითვალისწინოთ, რომ გერმანია, — განსაკუთრებით, თუ იგი გარკვეულ მომენტში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი გახდება — ყოველ შესაძლებლობას გამოიყენებს, რათა კვლავ წამოაყენოს უფლებათა თანასწორობის მოთხოვნა. ჩვენ იმ აზრისა ვართ, რომ არ უნდა წამოვიწყოთ ის თამაში, რომელმაც წარსულში მეორე მსოფლიო ომამდე მიგვიყვანა, რომ, კერძოდ, არ უნდა დავანებოთ გერმანიას აღადგინოს სამხედრო სამსახური, უარი სთქვას თავისი შეიარაღებული ძალების შეზღუდვაზე, განახორციელოს რაინის მარცხენა ნაპირის მილიტარიზაცია და სხვა.

მესამე, უნდა განვიხილოთ საკითხი, თუ რა მომენტიდან შევა ძალაში ხელშეკრულება. ჩვენი აზრით, თავისთავად იგულისხმება, რომ გერმანიის სრული დემილიტარიზაცია უნდა დამთავრდეს მისი ოკუპაციის პერიოდში — განსაკუთრებით იმ მხრივ, რაც შეეხება მისი სამხედრო-ეკონომიური პოტენციალის ლიკვიდაციას — და რომ გერმანიის ეს სრული დემილიტარიზაცია შემდეგშიც დაცულ უნდა იქნას.

ამერიკის პროექტით წარმოდგენილი ინსპექციის სისტემა რომ სწორად მოქმედებდეს, ამისათვის მის ორგანიზაციას ჯერ კიდევ ოკუპაციის პერიოდში უნდა შევუდგეთ. პირველი ნაბიჯი ამ მიმართულებით უკვე გადაიდგა აქ, როცა ოთხი დელეგაცია დაეთანხმა დემილიტარიზაციის საკითხზე მიეღო პრინციპი სამხედრო ქარხნების ლიკვიდაციის ოპერაციათა შემოწმებისა ოთხმხრივ საფუძველზე შექმნილი კომისიების მიერ. საერთოდ რომ ვთქვათ, ინსპექცია იმ სისტემის გამოყენების ძირითადი მექანიზმია, რომელსაც ჩვენ ამჟამად გვთავაზობენ. ეს ინსპექცია მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება ეფექტიანი, თუ მის გამოყენებას კარგად მოვაწყობთ, რაც გულისხმობს სარდლობის, საპოლიციო ძალების, გერმანიის ხელისუფლებასთან ურთიერთობის გარკვევას და სხვა საკითხთა გადაწყვეტას.

მეოთხე, მნიშვნელოვანი პრობლემაა იმ ღონისძიებათა საკითხი, რომლებიც საჭირო იქნება, რათა გამოყენებულ იქნას სანქციები გერმანიის მიერ თავის ვალდებულებათა დარღვევისათვის. წარმოდგენილი პროექტი ამ მხრივ ითვალისწინებს მოქმედების მხოლოდ ერთ საშუალებას, სახელდობრ — ოთხი სახელმწიფოს ერთობლივ ღონისძიებებს. მე უკვე ვილაპარაკე იმ დიდ მნიშვნელობაზე, რომელსაც საფრანგეთის მთავრობა ანიჭებს გერმანიის მიმართ ოთხი მოკავშირე სახელმწიფოს საერთო პოლიტიკის დაცვას. მიუხედავად ამისა, მე მგონია ძნელია სანქციათა მთელი მექანიზმი დავუქვემდებაროთ ერთხმივ გადაწყვეტილებას, როგორც ეს გათვალისწინებულია ხელშეკრულების პროექტით, რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ ოთხი მოკავშირე სახელმწიფო ვერ მიაღწევს ერთსულოვნებას გერმანიის მიერ თავის ვალდებულებათა დარღვევასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა შესახებ? ნება დაერთვის თუ არა გერმანიას ისარგებლოს ასეთი მდგომარეობით, რათა განახორციელოს შეიარაღება? ასეთი პირობების შექმნა იმის მომასწავებელი იქნება, რომ გერმანია საშიში ცთუნების წინაშე დავაყენოთ, ასეთია პრობლემა, რომელიც აფიქრებს საფრანგეთის დელეგაციას. ჩვენ სასურველად მიგვაჩნია გათვალისწინებულ იქნას სანქციების უფრო მოქნილი და, მაშასადამე, უფრო სწრაფი მექანიზმი, ვიდრე ის მექანიზმია, რომელსაც ხელშეკრულების ამერიკული პროექტი ითვალისწინებს.

დასასრულ ჟ. ბიდომ შენიშნა, რომ საფრანგეთის დელეგაციას საჭიროდ მიაჩნია, რომ გარანტიების ის სისტემა, რომელსაც გერმანიის მიმართ ოთხმხრივი ხელშეკრულება ითვალისწინებს, შეუფარდდეს სხვა სისტემებს, რომლებიც უზრუნველჰყოფენ საყოველთაო უშიშროების დაცვას. კერძოდ, მიზანშეწონილია დამყარებულ იქნას გარკვეული ურთიერთობა ერთი მხრივ იმ ორგანოებსა, რომლებსაც მიენდობა გერმანიის განიარაღების კონტროლის ამოცანა, და მეორე მხრივ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სათანადო ორგანოებს შორის.

ჟ. ბიდომ აგრეთვე აღნიშნა, რომ საფრანგეთის დელეგაცია გარანტიათა იმ სისტემას, რომელიც გერმანიის მიმართ იქნება, უკავშირებს რაინის ოლქისა და რურისათვის სპეციალური რეჟიმის საკითხს.

ე. ბევინის განცხადება

ე. ბევინმა განაცხადა:

— ბრიტანეთის დელეგაცია დიდ ხანს სწავლობდა გერმანიის განიარაღებისა და დემილიტარიზაციის შესახებ ოთხმხრივი ხელშეკრულების პროექტის თაობაზე ამერიკის დელეგაციის მიერ წარმოდგენილ წინადადებებს. როგორც მე უკვე აღვნიშნე საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს წინა სესიებზე, აგრეთვე ბრიტანეთის პარლამენტში, ჩვენ სასარგებლოდ მიგვაჩნია ეს ხელშეკრულება. ჩვენ მივესალმებით ბ-ნ მარშალის შემოტანილ წინადადებას. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამერიკის პროექტი გადაცემულ უნდა იქნას სრულუფლებიან წარმომადგენელთა განსახილველად დეტალური დამუშავებისათვის.

ბრიტანეთის დელეგაცია თავის წინადადებებს შეიტანს ხელშეკრულების ცალკეულ დებულებათა შესახებ, მაგრამ, ვფიქრობ, ამჟამად არც დროა და არც ადგილი სხვადასხვა დეტალის განსახილველად. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ რომ დადებული ყოფილიყო იმ ხელშეკრულების მსგავსი ხელშეკრულება, რომელსაც ამჟამად განვიხილავთ, და რომ ეს ხელშეკრულება სწორად ყოფილიყო გამოყენებული, ჩვენ თავიდან ავიცილებდით მეორე მსოფლიო ომს. დიდი ბრიტანეთი ყველაფერს გააკეთებს, რაც მასზეა დამოკიდებული, რათა ხელი შეუწყოს ნამდვილად კარგი, ყველასათვის სასარგებლო ხელშეკრულების შემუშავებას.

ვ. მ. მოლოტოვის განცხადება

დღეს ჩვენ ვიხილავთ გერმანიის დემილიტარიზაციის შესახებ ოთხი სახელმწიფოს ხელშეკრულების ამერიკულ პროექტს, რომელიც შარშან ბ-ნმა ბირნსმა შემოიტანა. ამ ხელშეკრულებას ხელი უნდა მოაწერონ ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირის მთავრობებმა.

ჯერ კიდევ გასული წლის 9 ივლისს მე ჩამოვაყალიბე საბჭოთა მთავრობის თვალსაზრისი ამ პროექტზე. მაშინვე მე შემოვიტანე წინადადება, თუ რა მიმართულებით უნდა შეგვესწორებინა წარმოდგენილი პროექტი. მაგრამ მაშინ ხელშეკრულების განხილვა არ დამთავრებულა. პროექტი ისევ შეუსწორებელი დარჩა. ამიტომ დღეს საბჭოთა მთავრობას შემოაქვს ამერიკული პროექტის კონკრეტული შესწორებანი. ამასთან დაკავშირებით მე ზოგიერთ განმარტებას გავაკეთებ.

1. ხელშეკრულების ძირითადი გეზი

ამერიკული პროექტი მოითხოვს „უზრუნველყოფილ იქნას გერმანიის არსებობა სრულ განიარაღებულ და დემილიტარიზებულ მდგომარეობაში იმდენ ხანს, რამდენსაც ამას მოითხოვს მშვიდობა და უშიშროება მთელს მსოფლიოში". ამასთან ნათქვამია, რომ „მხოლოდ ამ გარანტიის არსებობა მისცემს საშუალებას ევროპისა და მთელი მსოფლიოს ხალხებს მთლიანად გადავიდნენ მშვიდობიან საქმიანობაზე". ამრიგად, დასმულია ამოცანა—შეიქმნას ისეთი გარანტიები, რომლის დროსაც ევროპისა და მთელი მსოფლიოს ხალხები ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში შესძლებენ მთლიანად გადავიდნენ მშვიდობიან საქმიანობაზე. შეიძლება მხოლოდ მივესალმოთ ასეთი გარანტიების შექმნისადმი მისწრაფებას.

მაგრამ შეიძლება თუ არა ითქვას, რომ ხელშეკრულების წარმოდგენილი პროექტი ჰქმნის ასეთ გარანტიებს? არა, ამის თქმა არ შეიძლება, თუ პროექტში არ იქნა შეტანილი არსებითი შესწორება. საკმარისია აღინიშნოს, რომ გერმანიის დემილიტარიზაციის შესახებ ხელშეკრულების ამერიკულ პროექტში საერთაშორისო უშიშროებისა და საყოველთაო მშვიდობის გარანტიების საკითხი არ არის დასმული ისე, როგორც იგი დააყენეს მოკავშირე სახელმწიფოებმა, ვთქვათ, ყირიმის კონფერენციის გადაწყვეტილებებში, ან პოტსდამის (ბერლინის) კონფერენციის გადაწყვეტილებებში.

გაიხსენეთ, რას ლაპარაკობდნენ ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საბჭოთა კავშირის მთავრობები ყირიმის კონფერენციის გადაწყვეტილებებში, რომლებსაც საფრანგეთიც შეუერთდა. იქ ნათქვამია:

„ჩვენი ურყევი მიზანია გერმანიის მილიტარიზმისა და ნაციზმის მოსპობა და იმის გარანტიის შექმნა, რომ გერმანიამ ვეღარასოდეს ვერ შესძლოს მთელი მსოფლიოს მშვიდობის დარღვევა".

გერმანიის შესახებ შეთანხმების ტექსტში პოტსდამის კონფერენცია აცხადებდა:

„ამ შეთანხმების მიზანია გერმანიის შესახებ ყირიმის დეკლარაციის შესრულება. გერმანიის მილიტარიზმი და ნაციზმი აღმოფხვრილ იქნება, და მოკავშირეები ერთმანეთთან თანხმობით, ახლაც და მომავალშიც, მიიღებენ სხვა ზომებსაც, რომლებიც საჭიროა იმისათვის, რომ გერმანია ვეღარასოდეს ვეღარ დაემუქროს თავის მეზობლებს ან მშვიდობის შენარჩუნებას მთელს მსოფლიოში".

ორივე შემთხვევაში, როგორც ყირიმში, ისე პოტსდამში, სადაც ერთსულოვნად იქნა მიღებული აღნიშნული გადაწყვეტილებანი, მოკავშირეები აღიარებდნენ, რომ მთელს მსოფლიოში მშვიდობის დაცვის ინტერესები მოითხოვენ როგორც გერმანიის მილიტარიზმის, ისე გერმანიის ფაშიზმის (ნაციზმის) აღმოფხვრას. ამერიკულ პროექტში კი გატარებულია სხვა გზა. მასში ნათქვამია მხოლოდ გერმანიის დემილიტარიზაციის შესახებ. ამასთან, ამის შესახებაც ნათქვამია არათანმიმდევრულად და სრულიად უგულებელყოფილია ნაციზმის აღმოფხვრის ამოცანა, მაშასადამე უგულებელყოფილია ისეთი გადამწყვეტი ამოცანა, როგორიც არის გერმანიის სახელმწიფოს და მთელი გერმანიის საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნა დემოკრატიულ და მშვიდობიან საფუძველზე.

ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ ყველა ჩვენგანისათვის ნათელი იყო, რომ ევროპის და მთელი მსოფლიოს ხალხთა უშიშროების საქმე არ შეიძლება უზრუნველყოფილ იქნას მხოლოდ გერმანიის განიარაღებით, რომ ამისათვის, გარდა ამისა, საჭიროა განხორციელდეს გერმანიის გარდაქმნა დემოკრატიულ საფუძვლებზე. ეს იყო გერმანიის საკითხზე ყირიმისა და პოტსდამის კონფერენციების გადაწყვეტილებათა არსი, რაც არ უნდა დავივიწყოთ.

ჩვენთვის წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტი სხვა გზას ემყარება, რაც ჰქმნის ილუზიას,—თითქოს მშვიდობის უზრუნველსაყოფად გერმანიის ახალი აგრესიისაგან, საკმარისია მხოლოდ გერმანიის განიარაღება და არ უნდა ვიზრუნოთ გერმანიის დენაციფიკაციისა და დემოკრატიზაციის გატარებისათვის. თუ ჩვენ ასეთი ილუზიები წარმოვშვით, ეს არავითარ შემთხვევაში არ შეჰქმნის ევროპის ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების ნამდვილ გარანტიას. აა რატომ სთვლის საბჭოთა მთავრობა საჭიროდ, რომ ახლა ჩვენ დავიცვათ ის გეზი გერმანიის მიმართ, რომელიც გამოხატულია ყირიმისა და პოტსდამის კონფერენციების გადაწყვეტილებებში. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ ვერ მივაღწევთ დასახულ კეთილშობილურ მიზანს: შესაძლებლობა მივცეთ ევროპისა და მთელი მსოფლიოს ხალხებს მთლიანად გადავიდნენ მშვიდობიან საქმიანობაზე.

ეს ჩემი შენიშვნები შეეხება, უწინარეს ყოვლისა, ხელშეკრულების პრეამბულას (შესავალ ნაწილს). ამ შენიშვნების შესაბამისად საბჭოთა დელეგაციას შემოაქვს ხელშეკრულების ამ ნაწილის თავისი შესწორებანი.

2. დამატებანი დემილიტარიზაციის საკითხის გამო

ამერიკული პროექტის პირველ მუხლში ნათქვამია გერმანიის განიარაღებისა და დემილიტარიზაციის ღონისძიებათა შესახებ. ეს მუხლი ძირითადად შეესაბამება დეკლარაციას გერმანიის დამარცხების შესახებ, რომელსაც ხელი მოაწერეს ოთხი სახელმწიფოს მთავრობებმა 1945 წლის 5 ივნისს ბერლინში. იმ მომენტში, როცა მოკავშირეთა ჯარები ის-ის იყო შევიდნენ ბერლინში, ხოლო გერმანიაში არავითარი ხელისუფლება არ არსებობდა, მოკავშირეთა მთავარი ამოცანები იყო გერმანიის ჯარების სრული განიარაღების გატარება და წესრიგის დამყარება. იმ მომენტში გერმანიის სამხედრო-სამრეწველო პოტენციალის ლიკვიდაციის საკითხს და ამ დარგში მოკავშირეთა კონტროლის დამყარებას, ბუნებრივია, ჯერ კიდევ დიდი ყურადღება არ ეთმობოდა. იმ ხელშეკრულებაში კი, რომელსაც ჩვენ ამჟამად ვიხილავთ, შეტანილ უნდა იქნას კონკრეტული გადაწყვეტილებანი ამ საკითხზე.

ამასთან დაკავშირებით გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ ორ დამატებას, რომლებიც საბჭოთა მთავრობას შემოაქვს ხელშეკრულებაში **მესამე მუხლის** სახით. აი ამ მუხლის ტექსტი:

„იმისათვის, რომ აღკვეთილ იქნას ომის მიზნებისათვის გერმანიის მრეწველობის გამოყენება, ხელშეკრულების დამდები მაღალი მხარეები შეთანხმდნენ იმაში, რომ:

a) რურის სამრეწველო ოლქისადმი, როგორც გერმანიის საჭურვლის წარმოების მთავარი ბაზისადმი და გერმანიის მილიტარიზმის ძირითადი სამრეწველო დასაყრდენისადმი, დაწესდება დიდი ბრიტანეთის, ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირის ერთობლივი კონტროლი, რათა რურის რესურსები გამოყენებულ იქნას გერმანიის სამშვიდობო მრეწველობის განვითარებისათვის, აგრეთვე გერმანიის აგრესიისაგან დაზარალებული ევროპის ხალხების საჭიროებათა დაკმაყოფილებისათვის;

b) უმოკლეს ვადაში დამთავრდება გერმანიის კონცერნების, კარტელების, სინდიკატების, ტრესტებისა და მათთვის კონტროლის გამწევი საბანკო მონოპოლიების ლიკვიდაცია, რომლებიც იყვნენ გერმანიის აგრესიის სულისჩამდგმელები და ორგანიზატორები, ხოლო მათი კუთვნილი საწარმოები გადაეცემა საკუთრებად გერმანიის სახელმწიფოს. ამასთან ამიერიდან მონოპოლისტურ სამრეწველო და საფინანსო გაერთიანებათა აღდგენა გერმანიაში არ იქნება დაშვებული.

თუ ჩვენ გვსურს ხანგრძლივი ვადით განვახორციელოთ გერმანიის დემილიტარიზაცია, ჩვენ არ შეგვიძლია არ დავაყენოთ ოთხი მოკავშირე სახელმწიფოს კონტროლის დაწესების საკითხი რურის სამრეწველო ოლქისადმი, რომელიც ყველასათვის ცნობილია, როგორც გერმანიის საჭურვლის წარმოების მთავარი ბაზა და გერმანიის მილიტარიზმის მძლავრი დასაყრდენი. არასოდეს არ უნდა დავივიწყოთ, რომ რურისადმი კონტროლის საკითხი უაღრესად მჭიდროდ არის დაკავშირებული გერმანიის მეზობლებისა და სხვა ხალხების უშიშროების საქმესთან. თუ ეს წინადადება პრინციპულად მისაღებია, რასაკვირველია, ძნელი არ იქნება შევთანხმდეთ რურის სამრეწველო ოლქისადმი მოკავშირეთა ასეთი კონტროლის ფორმებსა და ვადაზე. ამასთან ერთად ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია, რომ რურის რესურსები,—და, უწინარეს ყოვლისა, ქვანახშირი—გამოყენებულ იქნას არა მარტო გერმანიის სამშვიდობო მრეწველობის განვითარებისათვის, არამედ საფრანგეთის საჭიროებათა და გერმანიის აგრესიისაგან დაზარალებული ევროპის სხვა ხალხების საჭიროებათა დაკმაყოფილებისათვის.

საჭირო არ არის იმის მტკიცება, რომ კონცერნები, კარტელები, სინდიკატები, ტრესტები და სხვა გერმანული მონოპოლიები განსაკუთრებით დიდ როლს ასრულებდნენ როგორც გერმანიის აგრესიის სულისჩამდგმელნი და ორგანიზატორები. მოკავშირეებმა უკვე დიდი ხანია აღიარეს გერმანიის მრეწველობის დეკარტელიზაციის საჭიროება. საბჭოთა მთავრობა წინადადებას იძლევა ჩამოერთვას გერმანიის მონოპოლიებს საწარმოები და გადაეცეს ისინი გერმანიის სახელმწიფოს, რომლის დემოკრატიზაციაც ტარდება ოთხი მოკავშირე სახელმწიფოს კონტროლით. ხალხების, და განსაკუთრებით გერმანიის მეზობლების უშიშროების თვალსაზრისით, ასეთ ღონისძიებათა გატარებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ექნება.

ამრიგად, საბჭოთა მთავრობის აზრით, გერმანიის დემილიტარიზაციის საკითხი არ შეიძლება განვსაზღვროთ გერმანიის შეიარაღებული ძალების განიარაღებითა და გერმანიაში ახალი სამხედრო და ნახევრადსამხედრო ორგანიზაციების შექმნის დაუშვებლობით, აგრეთვე ამათუიმ სამხედრო ქარხნების აკრძალვით, როგორც ეს ნათქვამია ამერიკულ პროექტში. საჭიროა გერმანიის მრეწველობის, მისი დეკარტელიზაციისა და რურში ოთხმხრივი კონტროლის დაწესების მხრივ ისეთი ზომების გატარება, რომლებიც შეუქმნიან ყველა ხალხს რწმენას, რომ გერმანიის მხრივ ახალი აგრესია მართლაც არ იქნება დაშვებული.

3. დემოკრატიზაციის საკითხი

ჩემი ნათქვამიდან ნათელია, რომ გერმანიის აგრესიის თავიდან აცილების საქმეში საბჭოთა მთავრობა პირველხარისხოვან მნიშვნელობას ანიჭებს გერმანიის დემოკრატიზაციის ღონისძიებათა გატარებას. ამის შესაბამისად, ჩვენ წინადადებას ვაყენებთ ხელშეკრულების **მეოთხე მუხლი** ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„გერმანიის აგრესიის ფესვების მოსპობისა და გერმანიის მშვიდობიან დემოკრატიულ სახელმწიფოდ გადაქცევის მიზნით, ხელშეკრულების დამდები მაღალი მხარეები შეთანხმდნენ იმაში, რომ:

a) მიღებულ იქნება ზომები გერმანიის ნაციზმისა და გერმანიის სხვა ფორმების აგრესიული ნაციონალიზმის ნაშთების აღმოსაფხვრელად და ნაცისტური პარტიის, ნაცისტური ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ამათუიმ სახით აღორძინების შესაძლებლობის მოსასპობად, ამასთან გერმანიაში მთლიანად იქნება აღკვეთილი ყოველგვარი ნაცისტური და მილიტარისტული გავლენა და მომავალში არ იქნება დაშვებული ნაცისტური და მილიტარისტული საქმიანობა ან პროპაგანდა;

b) გერმანელ ხალხს ყოველგვარი დახმარება გაეწევა დემოკრატიული წესების დამყარების საქმეში გერმანელი ხალხის მიერ მოწონებული გერმანიის დემოკრატიული კონსტიტუციის საფუძველზე, რამაც უნდა უზრუნველჰყოს გერმანელი ხალხისათვის სიტყვის, პრესის, რელიგიური რწმენის, კრების თავისუფლება, დემოკრატიული პარტიების, პროფესიული კავშირებისა და სხვა ანტინაცისტური ორგანიზაციების საქმიანობის თავისუფლება მთელი გერმანიის მასშტაბით, და ჯეროვნად იქნება უზრუნველყოფილი მშრომელი მოსახლეობის უფლებანი და ინტერესები, აგრეთვე გათვალისწინებულ იქნება უშიშროების დაცვის აუცილებლობა;

c) მთელ გერმანიაში გატარდება მიწის რეფორმა, რათა გლეხებს გადაეცეს მსხვილი მიწათმფლობელი-იუნკრების მიწა, რომლებიც ყოველთვის იყვნენ გერმანიის აგრესიის სულისჩამდგმელნი და შეადგენდნენ ყველაზე საშიშ გერმანელ მილიტარისტთა კადრებს".

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ საჭირო არ არის ამ წინადადებათა დაწვრილებით დასაბუთება. მოკავშირეებმა უკვე დიდი ხანია აღიარეს, რომ გერმანიის აგრესიის თავიდან აცილება მოითხოვს ნაციზმის ნაშთების აღმოფხვრას და ისეთი ღონისძიებების გატარებას გერმანიის სახელმწიფოს და გერმანიის საზოგადოებრივი ცხოვრების დემოკრატიზაციის მხრივ, რომლებიც გერმანელ ხალხს შესაძლებლობას მისცემდა თავისუფლად იცხოვროს და ნამდვილად ისარგებლოს თავისი შრომის ნაყოფით.

ამასთან დაკავშირებით საჭიროა ხაზგასმით აღინიშნოს დიდი მნიშვნელობა მიწის რეფორმის გატარებისა, რამაც მსხვილ მიწათმფლობელ-იუნკრებს, რომლებიც ყოველთვის იყვნენ გერმანიის მილიტარიზმის მთავარი დასაყრდენი, უნდა ჩამოართვას მიწა და ეს მიწა გადასცეს გლეხებს, რათა გადიდდეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და სურსათის რაოდენობა თვით გერმანიაში. ეს ბევრად შეუწყობს ხელს სასურსათო მდგომარეობის გაუმჯობესებას გერმანიის ქალაქებში.

4. ოკუპაციის შეწყვეტის პირობები

ხელშეკრულების ამერიკულ პროექტში დაყენებულია აგრეთვე გერმანიის ოკუპაციის შეწყვეტის საკითხი. საბჭოთა მთავრობა თანახმაა, რომ ხელშეკრულებაში, რომელსაც ჩვენ ვიხილავთ, აღნიშნული იყოს ოკუპაციის შეწყვეტის პირობები.

მაგრამ ჩვენ ვერ დავეთანხმებით იმას, რაც ამ საკითხზე ნათქვამია ამერიკულ პროექტში, სადაც ოკუპაციის შეწყვეტა დამოკიდებულია მხოლოდ იმაზე, მიიღებს თუ არა გერმანია ამერიკული პროექტის პირველი და მეორე მუხლების დებულებებს გერმანიაში სამხედრო ფირმებათა და სამხედრო ქარხნების აკრძალვის შესახებ, რაც უაღრესად გაურკვეველია და რასაც შეუძლია გამოიწვიოს გაუგებრობა. ჩვენი წინადადება ამ საკითხზე ის არის, რომ გერმანიის ოკუპაციის შეწყვეტა გატარდეს მაშინ, როცა მოკავშირე სახელმწიფოები უზრუნველყოფილად სცნობენ გერმანიის ოკუპაციის ძირითადი მიზნების განხორციელებას. ამიტომ ჩვენ წინადადებას ვიძლევით ასე ჩამოყალიბდეს ხელშეკრულების **მეხუთე მუხლი**:

„ხელშეკრულების დამდები მაღალი მხარეები შეთანხმდნენ იმაში, რომ როცა ისინი სცნობენ უზრუნველყოფილად გერმანიის ოკუპაციის ძირითადი მიზნების შესრულებას, სახელდობრ:

a) გერმანიის დემილიტარიზაციის დამთავრებას, კერძოდ, გერმანიის სამხედრო-სამრეწველო პოტენციალის ლიკვიდაციას, მოკავშირე სახელმწიფოთა დირექტივების თანახმად;

b) გერმანიაში დემოკრატიული წყობილების აღდგენასა და განმტკიცებას;

c) დაწესებულ სარეპარაციო ვალდებულებათა, აგრეთვე მოკავშირეთა წინაშე გერმანიის სხვა ვალდებულებათა შესრულებას — მოკავშირე სახელმწიფოები განიხილავენ გერმანიის ოკუპაციის შეწყვეტის საკითხს".

როცა მოკავშირეებს შესაძლებლობა მიეცემათ სთქვან, რომ გერმანიაში უზრუნველყოფილია ოკუპაციის ძირითადი მიზნების შესრულება დემილიტარიზაციისა და დემოკრატიზაციის დარგში, აგრეთვე მოკავშირე ქვეყნების წინაშე დაწესებული სარეპარაციო და სხვა ვალდებულებების შესრულება, — მაშინ ოკუპაცია უნდა შეწყდეს. რაც უფრო მალე უზრუნველჰყოფს გერმანია ამ პირობების შესრულებას, მით უფრო სწრაფად შეწყდება ოკუპაცია. გერმანიის მხრივ აღნიშნულ პირობათა შეუსრულებლად არ შეიძლება დავეთანხმოთ ოკუპაციის შეწყვეტას.

* * *

ასეთია ჩვენი ძირითადი შენიშვნები გერმანიის დემილიტარიზაციის შესახებ ხელშეკრულების ამერიკული პროექტის გამო.

ახლა გასაგებია, რომ თვით ხელშეკრულების სახელწოდება რამდენადმე უნდა შეიცვალოს. საბჭოთა მთავრობა ფიქრობს, რომ განსახილველ ხელშეკრულებას უნდა ეწოდოს ასე: „ხელშეკრულება გერმანიის დემილიტარიზაციისა და გერმანიის აგრესიის აღკვეთის შესახებ". ასეთი სახით იგი უფრო მეტად შეესაბამება დასახულ მიზანს.

როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ შარშან საბჭოთა მთავრობამ შემოიტანა წინადადება, რომ განსახილველი ხელშეკრულების ვადა იყოს არა 25, არამედ 40 წელი. ეს წინადადება უკვე მიღებულია. ამის გამო საჭიროა სათანადო ცვლილება შევიტანოთ ხელშეკრულების ტექსტში.

როცა ამერიკული პროექტის ტექსტს თავის შენიშვნებსა და შესწორებებს უკეთებდა, საბჭოთა მთავრობა ისწრაფოდა, რომ ნამდვილად ყოფილიყო მიღწეული დასახული მიზანი, — რომ ევროპისა და მთელი მსოფლიოს ხალხებს ნამდვილად შეეძლოთ „მთლიანად გადავიდნენ მშვიდობიან საქმიანობაზე".

ჩემს მიერ მოყვანილი შესწორებების შესაბამისად, ხელშეკრულების პროექტი მიიღებს დოკუმენტის სახეს, რომელსაც მე ახლა გადავცემ საბჭოს წევრებს.

საბჭოთა დელეგაცია თხოულობს განიხილოთ მის მიერ წარმოდგენილი წინადადებანი.

გერმანიის დემილიტარიზაციისა და გერმანიის აგრესიის აღკვეთის შესახებ

(საბჭოთა დელეგაციის მიერ წარდგენილი ხელშეკრულების პროექტი)

1945 წლის 5 ივნისს შეერთებული შტატების, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის, შეერთებული სამეფოს და საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობებმა განაცხადეს თავიანთი განზრახვა — მოეხდინათ გერმანიის სრული განიარაღება და დემილიტარიზაცია, რაც არსებით წილად უკვე შესრულებულია. ვერაფერი ვერ შესცვლის და ვერ შეაჩერებს ამ საქმის დამთავრებას. აუცილებლად საჭიროა უზრუნველყოფილ იქნას გერმანიის ყოფნა სავსებით განიარაღებულ და დემილიტარიზებულ მდგომარეობაში მანამდე, სანამ ეს საჭირო იქნება იმისათვის, რომ გერმანიამ ვერასოდეს ვეღარ შეუქმნას საფრთხე თავის მეზობლებს ან მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებას, და იმდენ ხანს, რამდენსაც ამას მოითხოვს გერმანიის აგრესიის თავიდან აცილებას ამო-

(დასასრული მე-4 გვ.)

საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოში

(დასასრული)

ცანა. გერმანიის აგრესიის თავიდან აცილების ამოცანა არ შეიძლება ბოლომდე შესრულდეს, თუ არ მოისპო გერმანიის მილიტარიზმი და ნაციზმი და ძირფესვიანად არ გარდაიქმნა გერმანიის საზოგადოებრივი ცხოვრება და სახელმწიფო წყობილება ფართო დემოკრატიულ საფუძველზე, რაც გარანტია იქნება გერმანიის გადაქცევისა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოდ და შექმნის იმისათვის ხელსაყრელ პირობებს, რომ ევროპისა და მთელი მსოფლიოს ხალხები მთლიანად გადავიდნენ მშვიდობიან საქმიანობაზე. ამ ამოცანის გადაჭრა და გერმანიის მიერ მოკავშირე სახელმწიფოების წინაშე მის ვალდებულებათა შესრულება შესაძლებლობას მისცემს გერმანელ ხალხს ღირსეული ადგილი დაიკავოს ერთა თანამეგობრობაში.

იმისათვის, რომ მიაღწიონ ამ მიზანს, შეერთებული შტატების, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის, შეერთებული სამეფოს და საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობები თანხმდებიან მონაწილეობა მიიღონ ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული საერთო ამოცანის შესრულებაში.

მუხლი I

ხელშეკრულების დამდები მაღალი მხარეები შეთანხმდნენ ერთობლივად მიიღონ ზომები იმის უზრუნველსაყოფად, რომ:

A) გერმანიის მთელი შეიარაღებული ძალები, მათ შორის სახმელეთო, საჰაერო ძალები, საჰაერო თავდაცვის ნაწილები და სამხედრო-საზღვაო ძალები, მთელი ნახევრადსამხედრო ძალები, ისეთები, როგორიც სს და სა და გესტაპო, აგრეთვე ზემოხსენებულ ფორმირებათა მთელი დამხმარე ორგანიზაციები, მთლიანად განიარაღებულ, დემობილიზებულ და დაშლილ იქნებიან უმოკლეს ვადაში და თავის არსებობას შესწყვეტენ, აგრეთვე არ იქნება დაშვებული გერმანიის დაშლილი შეიარაღებული ძალების, ზემოთ ჩამოთვლილი ორგანიზაციებისა და რაიმე სახის დამხმარე ფორმირებათა რაიმე ფორმით აღდგენა;

B) გერმანიის გენერალური შტაბი და ყოველგვარი სამხედრო და ნახევრადსამხედრო ორგანიზაციების შტაბები დაშლილ იქნებიან და თავის არსებობას შესწყვეტენ და არ იქნება დაშვებული მათი რაიმე ფორმით აღდგენა;

C) გერმანიაში ნებადართული არ იქნება არავითარი სამხედრო თუ ნახევრადსამხედრო ორგანიზაციების არსებობა რაიმე ფორმით ან შენიღბული სახით;

D) აღკვეთილ იქნება სამხედრო საჭურვლის დამზადება და წარმოება გერმანიაში, აგრეთვე მისი შეტანა, კერძოდ, ხელშეკრულების დამდები მაღალი მხარეები არ დაუშვებენ იმას, რომ დამზადდეს, წარმოებულ ან შეტანილ იქნას:

1) ყოველგვარი იარაღი, საომარი მასალები, ფეთქებადი ნივთიერებანი, სამხედრო საჭურველი, სამხედრო მარაგი და მომარაგება და ომის ყველა სახის სხვა იარაღი;

2) ყველა დასაშლელი მასალა ყოველგვარი მიზნისათვის, თუ არა იმ პირობებით, რომლებიც მოწონებული იქნება ხელშეკრულების დამდები მაღალი მხარეების მიერ;

3) ყოველი კლასის ყველა როგორც წყალზედა, ისე წყალქვეშა სამხედრო-საზღვაო გემი, აგრეთვე დამხმარე სამხედრო-საზღვაო გემები;

4) ყოველი სახის ყველა თვითმფრინავი, საავიაციო აღჭურვილობა და ხელსაწყოები, აგრეთვე აღჭურვილობა საჰაერო თავდაცვისათვის.

E) არ იქნება დაშვებული შეიქმნას, გამოყენებულ ან ექსპლოატირებულ იქნას ომის მიზნებისათვის რაიმე ქვემოთ ჩამოთვლილთაგანი: ყველა სამხედრო ნაგებობა, მოწყობილობა და დაწესებულება, მათ შორის სამხედრო აეროდრომები, საზღვაო ავიაციის ბაზები, სამხედრო-საზღვაო ბაზები, სამხედრო და სამხედრო-საზღვაო საწყობები, მუდმივი და დროებითი სახმელეთო და სანაპირო სიმაგრეები, ციხეები და სხვა გამაგრებული რაიონები, ხოლო ჯერ კიდევ დარჩენილი ნაგებობანი, მოწყობილობანი და ყოველგვარი დაწესებულებანი მოისპობა;

F) დემილიტარიზაციისა და განიარაღების გატარებისას, რასაც ეს მუხლი მოითხოვს, დაიშვება შემდეგი გამონაკლისები იმ პირობებში, რომლებიც შეიძლება დააწესონ ხელშეკრულების დამდებმა მაღალმა მხარეებმა:

1) გერმანიის სამოქალაქო პოლიციის ისეთ ქვეგანაყოფთა ჩამოყალიბება და გამოყენება და მათი შეიარაღება ისეთი სახისა და რაოდენობის იმპორტირებული სასროლი იარაღით, რომლებიც შეიძლება აუცილებელი იყოს საზოგადოებრივი უშიშროების დასაცავად;

2) მინიმალური რაოდენობით შეტანა ზემოთ D პუნქტში ჩამოთვლილი საგნებისა, მაგალითად, ფეთქებადი ნივთიერებებისა, ან ფეთქებად ნივთიერებათა ინგრედიენტებისა, რომლებიც შეიძლება აუცილებლად საჭირო იყოს მშენებლობის მიზნებისათვის, სამთამადნო საქმის, სოფლის მეურნეობისა ან სხვა სამშვიდობო მიზნებისათვის.

მუხლი II

ხელშეკრულების დამდები მაღალი მხარეები შეთანხმდნენ იმაში, რომ:

A) გატარდება ყველა აუცილებელი ღონისძიება გერმანიის სამხედრო პოტენციალის მოსასპობად. ყველა სამხედრო საწარმო, სხვა საწარმოთა სპეციალიზებული სამხედრო მოწყობილობა, აგრეთვე მრეწველობის სხვა დარგების იმ სიმძლავრეთა გამოყენება, რაც საჭირო არ არის იმ მრეწველობისათვის, რომელიც ნებადართული იქნება გერმანიის სამშვიდობო ეკონომიკის საჭიროებისათვის, ამოღებულ იქნება რეპარაციების სახით ან მოისპობა;

B) არ იქნება დაშვებული არავითარი ისეთი ფაბრიკების, ქარხნების, სახელოსნოების, საკვლევი ინსტიტუტების, ლაბორატორიების, საცდელი სადგურების, ტექნიკური მონაცემების, პატენტების, გეგმების, ნახაზებისა და გამოგონებების შექმნა, გამოყენება ან ექსპლოატაცია ომის მიზნებისათვის, რომლებიც განკუთვნილია ან განზრახულია განკუთვნილ იქნას ამ ხელშეკრულების I მუხლის D და E პუნქტებში ჩამოთვლილი საგნების საწარმოებლად ან მათი წარმოების გასაადვილებლად.

მუხლი III

იმისათვის, რომ აღკვეთილ იქნას გერმანიის მრეწველობის გამოყენება ომის მიზნებისათვის, ხელშეკრულების დამდები მაღალი მხარეები შეთანხმდნენ იმაში, რომ:

A) რურის სამრეწველო ოლქისადმი, როგორც გერმანიის საჭურვლის წარმოების მთავარი ბაზისადმი და გერმანიის მილიტარიზმის ძირითადი სამრეწველო დასაყრდენისადმი, დაწესდება დიდი ბრიტანეთის, ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირის ერთობლივი კონტროლი, რათა რურის რესურსები გამოყენებულ იქნას გერმანიის სამშვიდობო მრეწველობის განვითარებისათვის, აგრეთვე გერმანიის აგრესიისაგან დაზარალებული ევროპის ხალხების საჭიროებათა დაკმაყოფილებისათვის;

B) უმოკლეს ვადაში დამთავრდება გერმანიის კონცერნების, კარტელების, სინდიკატების, ტრესტებისა და მათთვის კონტროლის გამწევი საბანკო მონოპოლიების ლიკვიდაცია, რომლებიც იყვნენ გერმანიის აგრესიის სულისჩამდგმელები და ორგანიზატორები, ხოლო მათი კუთვნილი საწარმოები, გადაეცემა საკუთრებად გერმანიის სახელმწიფოს, ამასთან ამიერიდან მონოპოლისტურ სამრეწველო და საფინანსო გაერთიანებათა აღდგენა გერმანიაში არ იქნება დაშვებული.

მუხლი IV

გერმანიის აგრესიის ფესვების მოსპობისა და გერმანიის მშვიდობიან დემოკრატიულ სახელმწიფოდ გადაქცევის მიზნით, ხელშეკრულების დამდები მაღალი მხარეები შეთანხმდნენ იმაში, რომ:

A) მიღებულ იქნება ზომები გერმანიის ნაციზმისა და გერმანიის სხვა ფორმების აგრესიული ნაციონალიზმის ნაშთების აღმოსაფხვრელად და ნაცისტური პარტიის, ნაცისტური ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ამათუიმ სახით აღორძინების შესაძლებლობის მოსასპობად, ამასთან გერმანიაში მთლიანად იქნება აღკვეთილი ყოველგვარი ნაცისტური და მილიტარისტული გავლენა და მომავალში არ იქნება დაშვებული ნაცისტური და მილიტარისტული საქმიანობა ან პროპაგანდა;

B) გერმანელ ხალხს ყოველგვარი დახმარება გაეწევა დემოკრატიული წესების დამყარების საქმეში, გერმანელი ხალხის მიერ მოწონებული გერმანიის დემოკრატიული კონსტიტუციის საფუძველზე, რამაც უნდა უზრუნველჰყოს გერმანელი ხალხისათვის სიტყვის, პრესის, რელიგიური რწმენის, კრებების თავისუფლება, დემოკრატიული პარტიების, პროფესიული კავშირებისა და სხვა ანტინაცისტური ორგანიზაციების საქმიანობის თავისუფლება მთელი გერმანიის მასშტაბით და ჯეროვნად იქნება უზრუნველყოფილი მშრომელი მოსახლეობის უფლებანი და ინტერესები, აგრეთვე გათვალისწინებულ იქნება უშიშროების დაცვის აუცილებლობა;

C) მთელ გერმანიაში გატარდება მიწის რეფორმა, რათა გლეხებს გადაეცეს მსხვილი მიწათმფლობელი-იუნკერების მიწა, რომლებიც ყოველთვის იყვნენ გერმანიის აგრესიის სულისჩამდგმელნი და შეადგენდნენ ყველაზე საშიშ გერმანელ მილიტარისტთა კადრებს.

მუხლი V

ხელშეკრულების დამდები მაღალი მხარეები შეთანხმდნენ იმაში, რომ როცა ისინი სცნობენ უზრუნველყოფილად გერმანიის ოკუპაციის ძირითადი მიზნების შესრულებას, სახელდობრ:

A) გერმანიის დემილიტარიზაციის დამთავრებას, კერძოდ, გერმანიის სამხედრო-სამრეწველო პოტენციალის ლიკვიდაციას მოკავშირე სახელმწიფოთა დირექტივების თანახმად;

B) გერმანიაში დემოკრატიული წყობილების აღდგენასა და განმტკიცებას;

C) დაწესებულ სარეპარაციო ვალდებულებათა, აგრეთვე მოკავშირეთა წინაშე გერმანიის სხვა ვალდებულებათა შესრულებას,

მოკავშირე სახელმწიფოები განიხილავენ გერმანიის ოკუპაციის შეწყვეტის საკითხს.

მუხლი VI

გერმანიის ოკუპაციის შეწყვეტის შემდეგ დაარსდება ოთხმხრივ საფუძველზე მოქმედი საკონტროლო კომისია, რომელიც თავისი თანამდებობის პირებისა თუ კომისიის მეშვეობით გაატარებს გერმანიის ტერიტორიის ყოველ ნაწილში ან ყველა ნაწილში ისეთ ინსპექტირებას, შემოწმებასა და გამოკვლევას, რასაც იგი აუცილებლად მიიჩნევს, ამასთან იმ შემთხვევაში, თუ გერმანია დაარღვევს თავის ვალდებულებებს მოკავშირე სახელმწიფოების წინაშე, ხელშეკრულების დამდებ მაღალ მხარეებს შეუძლიათ გამოიყენონ იძულების საშუალებანი, მათ შორის საჰაერო, საზღვაო თუ სახმელეთო შეიარაღებული ძალების მოქმედება, რაც შეიძლება აუცილებელი აღმოჩნდეს ასეთი დარღვევის ან დარღვევის ცდის დაუყოვნებლივ შეწყვეტის ან აღკვეთის უზრუნველსაყოფად.

საკონტროლო კომისია ხელშეკრულების დამდებ მაღალ მხარეებსა და გაერთიანებული ერების უშიშროების საბჭოს აუწყებს იმ ინსპექტირების, შემოწმებისა და გამოკვლევის შედეგებს, რაც ნებადართულია ამ მუხლით, ამასთან ხელშეკრულების დამდები მაღალი მხარეები დაუყოვნებლივ მოახსენებენ გაერთიანებული ერების უშიშროების საბჭოს იმ ზომების შესახებ, რაც მათ მიიღეს ან მიიღებენ.

ხელშეკრულების დამდები მაღალი მხარეები შეთანხმდნენ, რომ გერმანიის ოკუპაციის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღებასთან ერთად ისინი კონსულტაციას გაუწევენ ერთმანეთს იმ მიზნით, რომ მოლაპარაკების გზით შეიმუშაონ განსაკუთრებული ოთხმხრივი შეთანხმებანი, რომლებშიც, იმ ვალდებულებებისათვის ზიანის მიუყენებლად, რაც მათ ეკისრებათ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების ძალით, გათვალისწინებულ იქნება: რაც შეიძლება უფრო სრულად იმ ინსპექტირების, შემოწმებისა და გამოკვლევის დეტალები, რომლებსაც საკონტროლო კომისია ჩაატარებს; იმ შეიარაღებული ძალების რაოდენობა და შერჩევა, რომლებიც თვითეულმა მხარემ ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის უნდა გამოჰყოს; მათი მზადყოფნის ხარისხი და საერთო განლაგება, აგრეთვე თვითეული მხარის მიერ გადაცემული საშუალებებისა და გაწეული დახმარების ხასიათი. ამ განსაკუთრებულ ოთხმხრივ შეთანხმებათა რატიფიკაცია უნდა მოახდინონ ხელშეკრულების დამდებმა მაღალმა მხარეებმა, მათი სათანადო საკონსტიტუციო პროცედურების თანახმად.

მუხლი VII

ამ ხელშეკრულების რატიფიკაცია უნდა მოახდინონ ხელშეკრულების დამდებმა მაღალმა მხარეებმა მათი სათანადო საკონსტიტუციო პროცედურების თანახმად. სარატიფიკაციო სიგელები შესანახად ჩაბარდება... მთავრობას, რომელმაც ხელშეკრულების დამდებ ყველა მაღალ მხარეს უნდა აუწყოს დეპონირების თვითეული აქტის შესახებ.

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების დამდები ყველა მაღალი მხარის მიერ სარატიფიკაციო სიგელების დეპონირების შემდეგ. ეს ხელშეკრულება იმოქმედებს 40 წლის განმავლობაში დღიდან მისი ძალაში შესვლისა. ამ ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის ექვსი თვის წინ ხელშეკრულების დამდები მაღალი მხარეები კონსულტაციას გაუწევენ ერთმანეთს, რათა გამოარკვიონ, ხომ არ მოითხოვს საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების ინტერესები მის განახლებას, ცვლილებებით ან უცვლელად, თუ გერმანელმა ხალხმა მიაღწია ისეთ წარმატებებს დემოკრატიულ და მშვიდობიან საფუძველზე თავისი ცხოვრების გარდაქმნაში, რომ საკონტროლო ღონისძიებათა ძალაში დატოვება აუცილებლობას აღარ წარმოადგენს.

ჩინეთის განთავისუფლებული რაიონების ქალთა მიმართვა საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოსადმი

პარიზი, 14 აპრილი. (საკდესი). ქალთა საერთაშორისო დემოკრატიულმა ფედერაციამ 13 აპრილს შემდეგი კომუნიკე გადასცა პრესის წარმომადგენლებს:

ქალბატონმა ცაი ჩანმა, ჩინეთის განთავისუფლებული რაიონების ქალთა კავშირის თავმჯდომარემ, რომელიც მონაწილეობას იღებდა ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის საბჭოს პლენუმის მუშაობაში, რაც მიმდინარეობდა პრაღაში 1947 წლის თებერვალში, თავისი ორგანიზაციის წევრ 20 მილიონ ქალთა სახელით ფედერაციის სამდივნოს გადასცა ტექსტი მიმართვისა და სთხოვა გადაეცათ ეს მიმართვა საგარეო საქმეთა მინისტრებისათვის, რომელნიც მოსკოვის კონფერენციაზე შეიკრიბნენ. ამ მიმართვაში ნათქვამია, რომ კონფერენციაზე, რომელიც მოსკოვში მიმდინარეობდა 1945 წლის დეკემბერში, ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საბჭოთა კავშირის მინისტრებმა გადაწყვიტეს, კერძოდ, მოითხოვონ ჩინეთისაგან მოსპოს დიქტატორული რეჟიმი და შესწყვიტოს სამოქალაქო ომი, აგრეთვე ვალდებულება იკისრეს თავი აარიდონ ჩინეთის საშინაო საქმეებში ყოველგვარ ჩარევას. ამ შეთანხმების მიუხედავად, გომინდანის დიქტატურა ჩინელ ხალხს წინანდებურად სტანჯავს და სამოქალაქო ომი კვლავ სისხლით რწყავს ჩინეთს. ასეთი მდგომარეობის მთავარი მიზეზი ის არის, რომ შეერთებული შტატების მთავრობას ჩინეთში კვლავ ჰყავს მნიშვნელოვანი შეიარაღებული ძალები და ემხრობა გომინდანის მთავრობას, უწევს მას სამხედრო და საფინანსო დახმარებას. განთავისუფლებული რაიონების ჩინელი ქალები მოითხოვენ, რომ საგარეო საქმეთა მინისტრებმა განიხილონ ჩინეთის საკითხი მოსკოვის თავიანთ კონფერენციაზე. ისინი მოითხოვენ შეერთებული შტატების მთავრობისაგან 1945 წლის დეკემბრის კონფერენციაზე დადგენილი პრინციპების დაცვას და აღნიშნავენ, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დაუყოვნებლივ უნდა გაიყვანონ თავისი ჯარები ჩინეთიდან, შეუწყვიტონ ყოველგვარი სამხედრო და საფინანსო დახმარების გაწევა გომინდანის მთავრობას და უარი სთქვან ყველაფერზე, რასაც შეუძლია სასარგებლო იყოს დიქტატურის რეჟიმის შენარჩუნებისათვის და ხელი შეუშალოს ჩინეთში მშვიდობის, დემოკრატიისა და დამოუკიდებლობის დამყარებას.

ქალბატონმა ცაი ჩანმა ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის სამდივნოს გადასცა აგრეთვე ორი სხვა წერილი: ერთი ქალბატონ რუზველტის სახელზე, მეორე — ამერიკელ ქალთა კონგრესის სახელზე, რომელიც შედის ქალთა საერთაშორისო დემოკრატიულ ფედერაციაში, აგრეთვე შეერთებული შტატების ქალთა ყველა ორგანიზაციის სახელზე და სთხოვს მათ დაიწყონ კამპანია ჩინელ ქალთა მიმართვისათვის მხარდასაჭერად და ამით სარგებლობა მოუტანონ მშვიდობისა და დემოკრატიის საქმეს.

იაპონიის ადგილობრივი ადმინისტრაციული ორგანოების არჩევნების წინასწარი შედეგები

ტოკიო, 14 აპრილი. (საკდესი). შეჯამებულია წინასწარი შედეგები პრეფექტურათა გუბერნატორების, ქალაქების მერებისა და სოფლის მამასახლისების არჩევნებისა, რაც 5 აპრილს მოხდა იაპონიაში. იმ ამომრჩეველთა საერთო პროცენტი, რომელთაც მონაწილეობა არ მიუღიათ კენჭისყრაში, 30-ს აღწევს, ხოლო ტოკიოში — 39-ს. შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობების მიხედვით, თითქმის 3.500 ქალაქსა და დაბაში ანუ დასახლებული პუნქტების საერთო რაოდენობის 35 პროცენტში კენჭისყრა საერთოდ არ მომხდარა, რადგან არ იყვნენ მოცილე კანდიდატები, ხოლო 321 ქალაქსა და დაბაში ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ შეაგროვა ხმების საჭირო რაოდენობა, რაც სავალდებულოდ ხდის განმეორებითს არჩევნებს. ცხრა ქალაქსა და დაბაში არჩევნები არ მომხდარა, რადგან კანდიდატები არ ყოფილან.

პრესის ცნობებით, ხმების დიდი უმრავლესობა — 13,5 მილიონი ანუ 51 პროცენტი მიიღეს ეგრეთწოდებულმა დამოუკიდებელმა კანდიდატებმა, რომლებიც გადიოდნენ პოლიტიკური პარტიების სიებს გარეთ; 6.407 ათასი ხმა ანუ 24,1 პროცენტი მიიღეს სოციალისტური პარტიის კანდიდატებმა; 257.900 ხმა ანუ ერთი პროცენტი — კომუნისტური პარტიის კანდიდატებმა; ორ მილიონზე მეტი ანუ 7,8 პროცენტი ლიბერალური პარტიის კანდიდატებმა; დაახლოებით 965 ათასი ანუ 3,6 პროცენტი — დემოკრატიული პარტიის (ყოფილი პროგრესული პარტია) კანდიდატებმა; 330 ათასი ანუ 1,3 პროცენტი — სახალხო თანამშრომლობის კანდიდატებმა და 2.990 ათასი ანუ 11,2 პროცენტი — სხვადასხვა წვრილი პარტიების კანდიდატებმა.

კონსერვატიულმა პრესამ აურზაური ასტეხა ჩატარებულ არჩევნებში კონსერვატიული ბლოკის „აბსოლუტური გამარჯვების“ შესახებ. მაგრამ ზერელე ანალიზიც კი ცხადჰყოფს ასეთი დასკვნების უსაფუძვლობას. პრესაში გამოქვეყნებული ცნობებიდან სჩანს, რომ კონსერვატიული პარტიების ბლოკმა ხმების 11,4 პროცენტი მიიღო, მაშინ როცა დემოკრატიული ფრონტის პარტიებმა — სოციალისტურმა და კომუნისტურმა — 25 პროცენტზე მეტი, ანუ დაახლოებით 7 მილიონი ხმა.

სოციალისტური პარტიის წარმატება 5 აპრილის არჩევნებში მნიშვნელოვანწილად იმით აიხსნება, რომ ბევრ შემთხვევაში სოციალისტური პარტიის კანდიდატებს მხარი დაუჭირეს კომუნისტებმა. წინასაარჩევნო ბრძოლის მსვლელობაში ბევრ ადგილას მემარჯვენე სოციალისტების რეაქციული პოლიტიკის წინააღმდეგ წარმოიშვა და თავისი ძალა გამოავლინა კომუნისტური და სოციალისტური პარტიების ერთიანმა ფრონტმა. იაპონიის ისტორიაში პირველად ხდება, რომ 16 კომუნისტი არჩეულია სოფლის მამასახლისის პოსტებზე, 275 სოციალისტი მუნიციპალიტეტის თავმჯდომარეებად. უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ არჩეულ დამოუკიდებელ კანდიდატთა შორის არის ჯგუფი პროგრესისტი მოღვაწეებისა, რომლებსაც არჩევნებში მხარი დაუჭირეს დემოკრატიული ფრონტის ორგანიზაციებმა.

„ლუმანიტე“ ანდერსელთა ძირგამომთხრელი საქმიანობის შესახებ საფრანგეთში

პარიზი, 14 აპრილი. (საკდესი). გაზეთი „ლუმანიტე“ ბეჭდავს დაწვრილებით ცნობებს საფრანგეთში ანდერსის აგენტების საქმიანობის შესახებ. ანდერსის პარიზელ წარმომადგენლებს შაპსკისა და შიმანსკის ვენსენში (პარიზის გარეუბანი) აქვთ რადიოგადამცემი და რადიომიმღები სადგური, რომელიც საშუალებას აძლევს მათ კავშირი იქონიონ ანდერსის მთელ „ლეგალურ“ და არალეგალურ აპარატთან საფრანგეთსა და დასავლეთ ევროპაში. ანდერსის სამხედრო ნაწილები და შტაბები დაბინავებულია პარიზში, კურტინში, კლერმონ-ფერანში, ლილში, კალეში, ბრიუსელში, ბადენ-ბადენში. ყველა ისინი ემორჩილებიან შაპსკისა და შიმანსკის შტაბს. ანდერსს საფრანგეთში აქვს დე გოლის „ფარული პოლიტიკური სამსახურის“ ტიპის არალეგალური ქსელი. ეს ანალოგია იმ ფაქტით აიხსნება, რომ ამ ფარული ორგანიზაციის ხელმძღვანელთა შორის ლონდონში ბევრი იყო ანდერსის აგენტი. ანდერსის ორგანიზაციას, რომელიც ვრცელდება გერმანიის ოკუპაციის ფრანგულ ზონაზე, ლონდონიდან ხელმძღვანელობს პოლონეთის ემიგრანტული „მთავრობის“ ყოფილი ლონდონელი „ელჩის“ შვილი მორავსკი. უკანასკნელმა თავის შვილს დაავალა მჭიდრო კავშირი იქონიოს საფრანგეთის პოლიტიკურ მოღვაწეებთან, რათა ანდერსს გაუადვილოს მუშაობა საფრანგეთში.

დასასრულ „ლუმანიტე“ სწერს, რომ ანდერსს ერთ-ერთ თავის სერიოზულ იმედს უკავშირებენ ისინი, ვინც საფრანგეთში შეთქმულებებს აწყობენ რესპუბლიკის წინააღმდეგ, რადგან ანდერსს მოეპოვება ძლიერი სამხედრო ორგანიზაცია და დიდი ფარული ქსელი. მორავსკის „მეგობრული ურთიერთობა“ აქვს დე გოლთან უშუალოდ დაახლოებულ პირებთან.

„რეინოლდს ნიუსი“ საბერძნეთის ხელისუფალთა მხეცობის შესახებ

ლონდონი, 14 აპრილი. (საკდესი). გუშინ „საბერძნეთის დემოკრატიზაციისათვის ბრძოლის ლიგამ“ გაზეთ „რეინოლდს ნიუსში“ წერილი მოათავსა, რომელსაც ხელს აწერენ სტრაბოლჯი, ქ-ნი ეკლენდ ალენი, ბრეილსფორდი, ქ-ნი კორბეტ ეშბი, ჯოადი, ქ-ნი მენინგი, სოლი და სიბილა ტორნდაიკი. წერილში ნათქვამია:

„შეგვაძრწუნა გაზეთებში იმ ამბის წაკითხვამ, რომ სამი მოკლული პარტიზანისთვის თავი მოუკვეთიათ და ხელისუფლებს საჩვენებლად გამოუკიდიათ. აგრეთვე აღგვაშფოთა იმან, რომ ინგლისის რაკეტის ძრავებიანი თვითმფრინავები იგზავნება საბერძნეთში, რათა დაეხმარონ მთავრობას, რომელიც ასეთ ბარბაროსობას სჩადის. ნუთუ ინგლისი მართლა მზად არის ხელი შეუწყოს ბარბაროსობის ასეთ აქტებს, როცა უკანასკნელი მსოფლიო ომი იმისათვის სწარმოებდა, რომ ეს ბარბაროსული აქტები სამუდამოდ აღმოფხვრილიყო?“.

შორეული აღმოსავლეთის კომისიაში

ვაშინგტონი, 14 აპრილი. (საკდესი). შორეული აღმოსავლეთის კომისიამ გამოაქვეყნა ტექსტი განათლების იაპონური სისტემის საკითხზე 27 მარტს მიღებული გადაწყვეტილებისა და გამოაცხადა, რომ მოკავშირეთა უმაღლეს სარდლობას იაპონიაში დირექტივა მიეცა განახორციელოს ეს გადაწყვეტილება. გადაწყვეტილება მოითხოვს გაუქმდეს ყოველგვარი სამხედრო სწავლება, სინტოს სახელმწიფო რელიგიის სწავლება და სწავლების საფუძვლად იმპერატორის რესკრიპტების გამოყენება; იგი კრძალავს გასამხედროებული თამაშის მოწყობას და ითვალისწინებს მილიტარისტულ და ნაციონალისტურ ტენდენციათა მქონე მასწავლებლების დათხოვნას. იაპონიის მთავრობა, ამ განკარგულების თანახმად, უნდა მოეთათბიროს მოსახლეობის ყველა ფენას, სანამ განათლების ახალ სისტემას შექმნიდეს.

საქართველოს რემედასის ცენტრალური კომიტეტის მე-2 პლენუმი

შესდგა საქართველოს სსრ რემედასის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი. პლენუმი გახსნა ამხ. გ. ელისაბედაშვილმა.

საქართველოს რემედასის მიერ 1946 წელს ჩატარებული მუშაობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ამხ. თ. აბაშმაძე.

— საქართველოს რემედასის ორგანიზაციებმა, — ამბობს მომხსენებელი, — ნაყოფიერი მუშაობით პირველი ადგილი დაიკავეს მთელ საბჭოთა კავშირში, მეექვსეჯერ შეინარჩუნეს საკავშირო გარდამავალი წითელი დროშა, მიიღეს საპატიო სიგელი და დაჯილდოებული იქნენ პირველი პრემიით 50.000 მანეთის რაოდენობით.

გასულ წელს რემედასის ადგილობრივ ორგანიზაციებში ჩატარებულია 4.325 ლექცია, მოხსენება და საუბარი, გამოშვებულია 2.500 კედლის გაზეთი, მოწყობილია 290 რადიოგადაცემა.

კარგად დააყენეს საგიტაციო-მასობრივი მუშაობა და შემოიკრიბეს აქტივი რემედასის ჭიათურის, ქუთაისის საქალაქო, აჭარის საოლქო, საჩხერის, ჩხარის, ხაშურის, ვანის, მახარაძის, ქუთაისის, ლანჩხუთის, წულუკიძის, თბილისის ბერიას და სტალინის რაიონულმა კომიტეტებმა.

რემედასის ორგანიზაციებმა დახმარება გაუწიეს ომის ინვალიდებს, რომლებიც [illegible] საშეფო ჰოსპიტლებში, სამხედრო მოსამსახურეთა დაობლებულ ბავშვებს, მრავალშვილიან ოჯახებს, ომში დაღუპულ მეომართა მოხუც მშობლებს. გასულ წელს საბავშვო სახლების აღსაზრდელთა დამატებითი კვებისათვის საქართველოს რემედასმა დახარჯა 120.000 მანეთი. ომის 548 ინვალიდს და დემობილიზებულ მეომარს გაეწია დახმარება ფულით, სამრეწველო საქონლით, ბინების შეკეთებითა და სხვ.

გასულ წელს ჩამოყალიბდა რემედასის 2.300 ახალი პირველადი ორგანიზაცია. რემედასის რიგებში მიზიდულია 80.040 ახალი წევრი.

პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების დახმარებით საქართველოს რემედასი მიმდინარე წელსაც თავდადებით იმუშავებს და შეინარჩუნებს პირველობას,— სთქვა დასასრულ ამხ. თ. აბაშმაძემ.

მოხსენების გამო გამართულ კამათში გამოვიდნენ ამხ. ა. შენგელია (რემედასის ბერიას რაიკომის თავმჯდომარე), გ. მეტრეველი (რემედასის ხაშურის რაიკომის თავმჯდომარე) და სხვ.

პლენუმმა დასახა ღონისძიებანი რემედასის ორგანიზაციების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

ყინულის ქარხანა

თბილისში, 26 კომისრის რაიონში შენდება ხელოვნური ყინულის დამამზადებელი ქარხანა. ქარხანა წელიწადში 300 ტონა ყინულს დაამზადებს.

ქარხანაში დამზადებული ყინული უზრუნველჰყოფს სარეწაო კოოპერაციის სისტემაში შემავალ სავაჭრო ქსელს საზაფხულო სეზონისათვის.

სატყეო ტექნიკუმის ახალი შენობა

ქუთაისში დაიწყო სატყეო ტექნიკუმის შენობის აგება. ტექნიკუმი დაიტევს 250 მოსწავლეს, ექნება ფართო და ნათელი საკლასო და სასწავლო კაბინეტები.

მშენებლობა 835.000 მანეთი დაჯდება.

მკაცრად დავიცვათ საპასპორტო რეჟიმი

საპასპორტო დებულების ძირითადი კანონის შესრულების მიზნით, ქალაქ თბილისის მილიციის სამმართველო თბილისის საწარმო-დაწესებულებათა და თბილისში მცხოვრებ მოქალაქეთა საყურადღებოდ აცხადებს შემდეგს:

ყველა მოქალაქენი, რომლებიც ცხოვრობენ თბილისის ტერიტორიაზე მდებარე სახლებში, ვალდებული არიან ჩაწერილი იყვნენ საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

ის პირები, რომლებმაც მიაღწიეს 16 წლის ასაკს, ვალდებული არიან მიიღონ პასპორტი სამილიციო განყოფილებაში საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

გვარის გამოცვლის დროს, პასპორტის მოქმედების ვადის გასვლისა და მისი გაცვეთის გამო უვარგისობის შემთხვევაში, მოქალაქეებმა დაუყოვნებლივ უნდა მიმართონ სამილიციო განყოფილებას პასპორტის შესაცვლელად ან ვადის განსაგრძობად.

პასპორტის დაკარგვა აუცილებლად უნდა ეცნობოს სამილიციო განყოფილებას, მისი აღდგენის მიზნით.

თბილისის ყველა საწარმო-დაწესებულების ხელმძღვანელთ ეკრძალებათ სამუშაოზე მიიღონ უპასპორტო, ვადაგასული პასპორტით და ჩაუწერელი პირები, აგრეთვე ის პირები, რომლებიც მოწვევისა და გადმოყვანის გარეშე თავიანთი ნებით არიან ჩამოსულნი თბილისში.

შენიშვნა: მოწვევით ან გადმოყვანით სამუშაოზე მიღებულ პირთ აუცილებლად უნდა ჰქონდეთ პასპორტი უკანასკნელი საცხოვრებელი ადგილიდან ამოწერის შტამპით და სამხედრო ბილეთი წამოსვლის გამო აღრიცხვიდან მოხსნის აღნიშვნით.

საწარმო-დაწესებულებათა ხელმძღვანელები ვალდებული არიან მუშა-მოსამსახურეებს პასპორტში დაუსვან შტამპი სამუშაოზე მიღება-დათხოვნის შესახებ.

ის პირები, რომლებიც დაარღვევენ ზემოთ მოყვანილი საპასპორტო დებულების ძირითად კანონს, მიცემული იქნებიან პასუხისგებაში.

ქალაქ თბილისის მილიციის სამმართველოს უფროსი, მილიციის პოლკოვნიკი
სიხარულიძე

ლექცია

კულტ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა კომიტეტის ცენტრალური სალექციო ბიურო ხუთშაბათს, 17 აპრილს, 7 საათზე, ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში (გრიბოედოვის ქ. № 8) ატარებს სრულიად საკავშირო სალექციო ბიუროს ლექტორის მწერალ **ვ. ნ. მინაევის** საჯარო ლექციას, თემაზე: **„გერმანიის დაზვერვა“.**

ლექციის შემდეგ ნაჩვენები იქნება კინო-სურათი.

ბილეთები იყიდება.

კოლექტიური დაკვეთა ბილეთებზე მიიღება ყოველდღიურად, ჭავჭავაძის ქ. № 1, ტელ. № 3-55-22.

საქართველოს რადიოკომიტეტის გადაცემათა პროგრამა

16 აპრილისათვის

რადიოსადგურით 1154 მეტრ ტალღაზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით:

9.15 — ლიტერატურული გადაცემა.

რადიოსადგურებით 1154 და 49,59 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით:

17.20 — გლაზუნოვის საბალეტო მუსიკა. 17.40 — გადაცემა მოსწავლეთათვის რუსულ ენაზე. 18.20 — საოპერო მუსიკის კონცერტი. 19.15 — პოპულარული მუსიკის კონცერტი. 20.30 — კონცერტი საქართველოს რადიოკომიტეტის სოლისტის გალანოვას შესრულებით. 20.45 — დოცენტ ჩაჩავაშვილის საუბარი თემაზე. „ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის აპრილის თეზისების ისტორიული მნიშვნელობა“. 21.05 —კონცერტი თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დოცენტის ბარნაბიშვილის შესრულებით. 21.20 — ლიტერატურული გადაცემა. 23.00 — საქართველოს რადიოკომიტეტის ხალხური სიმღერების შემსრულებელი ანსამბლის კონცერტი.

კეცხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტში

17 აპრილს, საღამოს 8 საათზე, საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის დამოუკიდებლად შემსწავლელთათვის შესდგება ამხ. **მირიანაშვილისა** და ამხ. **ნოლიანისის** ლექცია თემაზე: **„ლენინის აპრილის თეზისების ოცდაათი წლისთავი“.**

სემინარი

19 აპრილს, საღამოს 8 საათზე, მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის შენობაში (რუსთაველის პროსპექტი 33-35) შესდგება **ეკონომიკის მეცნიერებათა მუდმივმოქმედი სემინარის** მორიგი მეცადინეობა. შესავალ ლექციას თემაზე: **„სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის შესახებ“** წაიკითხავს დოცენტი **ი. ბაჯაძე.**

ეკონომისტ პროფესორ-ლექტორთა დასწრება სავალდებულოა.

თეატრებში

16 აპრილს: ფალიაშვილის სახელობის — „ევგენი ონეგინი“; **რუსთაველის სახელობის** — „ორი ბატონის მსახური“; **მარჯანიშვილის სახელობის** — „ვის ემორჩილება დრო“; **გრიბოედოვის სახელობის** — „ტარტიუფი“; **სომხური** — „სოსი და ვარდითერი“; **მუსიკალური კომედიის** — „სამთა სიყვარული“ (პრემიერა).

კინოებში

16 აპრილს: რუსთაველის სახელობის და „ამირანი“ — „სიცოცხლისათვის“; **„კომკავშირელი“** — „მფრინავი მღებავი“; **„სპარტაკი“** — „ცამეტნი“; **„თბილისი“** — „ბრძოლა“; **26 კომისრის სახელობის** — „მარტო მოსჩანს თეთრი იალქანი“; **„კოლმეურნე“** — „პეპო“.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

საქართველოს ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს შემდეგ თანამდებობებზე:

1. პირველი თერაპიის კათედრის გამგე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, 2. მეორე თერაპიის კათედრის გამგე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, 3. პათოლოგიური ანატომიის კათედრის გამგე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, 4. ყელ-ყურ-ცხვირის სნეულებათა კათედრის გამგე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, 5. მიკრობიოლოგიის კათედრის გამგე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, 6. კანისა და ვენერიულ სნეულებათა კათედრის გამგე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, 7. ოპერაციული ქირურგიისა და ტოპოგრაფიული ანატომიის კათედრის გამგე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, 8. თვალის სნეულებათა კათედრის გამგე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, 9. ბავშვთა სნეულებათა კათედრის გამგე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, 10. პირველი ქირურგიის კათედრაზე კათედრის დოცენტი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, 11. კანისა და ვენერიულ სნეულებათა კათედრაზე კათედრის დოცენტი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, 12. პირველი ქირურგიის კათედრაზე ასისტენტი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი.

ქართული ენის ცოდნა სავალდებულოა. კონკურსის ვადაა ერთი თვე განცხადების გამოქვეყნებიდან.

კონკურსის დებულების მიხედვით ყველა საბუთი გამოგზავნილ უნდა იქნეს მისამართით: თბილისი, ლუნაჩარსკის, 12.

საქართველოს ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტი.

შვილები შიო, ელენე, მარიამ, ანასტასია, თინა ოჯახებით იუწყებიან **ეკატერინე გიორგის ასულ კაციტაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 16-IV, 8 ს. გამოსვენება 17-IV, 6 ს. გერშუნის, 4.

დედა ვალია, მეუღლე თამარ ხოშერიკი, შვილი ჯემალ იუწყებიან **გიორგი (მამია) ერასტის-ძე ლოლუას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 16-IV, 7 ს. გამოსვენება 17-IV, 5 ს. ჩიტაძის, 9.

მოქალაქე **კონსტანტინე პავლეს-ძე პეტროვმა**, მცხოვრებმა ქალაქ როსტოვში, ხუდონის პროსპ. № 64-ა, აღძრა საქმე ქალაქ თბილისში საბჭოს ქ. № 17 მცხოვრებ მოქალაქე **ანასტასია საველის ასულ პეტროვასთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის მოლოტოვის რაიონის II უბნის სახალხო სასამართლო.

მოქალაქე **ივანე ალექსანდრეს-ძე ჭოჩორაძემ**, მცხოვრებმა დავითაშვილის ქვემო შესახვევი № 6, აღძრა საქმე მაჩაბლის ქ. № 16 მცხოვრებ მოქალაქე **თინა ფორიას ასულ ცაგურიშვილთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის ბერიას რაიონის მე-3 უბნის სახალხო სასამართლო.

კარდანახის საბჭოთა მეურნეობის მუშა-მოსამსახურენი იუწყებიან **ოლია ივანეს ასულ ტყავაშვილი-გულიაშვილის** გარდაცვალებას.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის ჰოსპიტალური ქირურგიული კლინიკის თანამშრომლები იუწყებიან ექიმ **თამარ მიქელაძის** გარდაცვალებას.

მეუღლე დესპინე, შვილები დავით, კონსტანტინე, ლოლა, ოჯახებით იუწყებიან **მიხეილ (მიხაკო) გაბრიელის-ძე ფარცხალაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 19-IV, 5 ს. წულუკიძეში, ჯორჯიაშვილის, 22.

ქიმიური კომბინატის კოლექტივი იუწყება **მიხეილ ივანეს-ძე გორდეზიანის** გარდაცვალებას.

სერგო და ნიკო მაჩაიძეები ცოლშვილით იუწყებიან დედის **ნინო როსტომის ასულ მაჩაიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 16-IV, 7 ს. გამოსვენება 17-IV, 5 ს. პაპანინის, 44.

მშობლები ელენე, გრიგოლ, ძმა ნოდარ გრიგორაშვილები იუწყებიან **თამაზის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 16-IV, 7 ს. გამოსვენება 17-IV, 6 ს. ძნელაძის, 35.

მამიდა ლეონინა, მამიდაშვილები ელენე ქვარიანი, ნორა სურგულაძე, გიორგი, პეტრე, პავლე თაბაგრები ოჯახებით იუწყებიან **სოფიო ჯულელი-ჭყოიძის** გარდაცვალებას.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 28, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, სამდივნოსი—3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდის—3-82-05, პარტიული ცხოვრებისა და საბჭოთა მშენებლობის—3-81-84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების—3-73-24, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო-სატრანსპორტოსი—3-80-83, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის—3-80-84, მორიგისა და გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობის — 3-51-81, სტამბის დირექტორის—3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 110.000 უე 00064